ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

მინდია მიქელაძე

ლობიზმი და პოლიტიკური პროცესების მართვა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირინე ცინცაძე

ხიჭაური

2019

ანოტაცია

ლობიზმი დღეისათვის ყველა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოს დღევანდელ პირობებში ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოვლენის განვითარება მეტად რთულ პროცესში მიმდინარეობს, გამომდინარე იქედან, რომ ლობიზმის ცნობიერება დაბალ საფეხურზე დგას. საქართველო ერთ-ერთი იმ ქვეყნების ჩამონათვალში შედის, სადაც არსებობს სპეციალური კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ და ამავდროულად ხდება ლობისტების რეესტრში რეგისტრაცია.

XXI საუკუნის საქართველოში ლობისტური საქმიანობის მნიშვნელობის გაგებასა და მის განვითარებაზე ორიენტირებული საზოგადოება იმდენად მცირეა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ნათლად აჩვენა აღნიშნული საკითხის ძალიან დაბალ საფეხურზე დგომა , ასევე გამოიკვეთა , რომ რთულად თუ მოიპოვებთ საქართველოში ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს , რომელთაც აღნიშნულ საკითხზე აქვთ თავიანთი მოსაზრება. თუმცა ეს საკითხი ძალიან მაღალ საფეხურზე დგას ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები , გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა და ა.შ.

ნაშრომის მთავარი არსი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში საქართველოშიც ამაღლდეს ცნობიერება ლობიზმის შესახებ.

დღეისათვის მთავარი ამოცანაა ლობიზმის არსის, მისი ფუნქციონირების და სამართლებრივი რეგულირების ანალიზის საფუძველზე განისაზღვროს ლობიზმის ძირითადი მახასიათებლები , დადებითი და უარყოფითი ასპექტები.

ნაშრომის მიზანიც სწორედ ისაა, რომ შეისწავლოს ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოვლენის არსი, მისი აღმოცენების, განვითარებისა და დამკვიდრების პირობები. ასევე მთავარ პირობას წარმოადგენს ლობიზმის რეგულირების სისტემის გაანალიზება საქართვლოში და ქართულ სამართლებრივ მეცნიერებაში მისი წინა პლანზე წამოწევა.

ANOTATION

Lobbyism has become a part of political life of all countries. Under the current conditions, development of lobby is masasocio-political phenomen on, is underway in a very difficult process because of the low level of awareness of lobbying. Georgia is included in the list of the countries where the special law on "Lobbying Activity" is applicable and at the same time, the lobbyists are subject to registration at the Registry of Lobbyists.

The society oriented on understanding and developing the importance of the lobbying activities of the XXI century Georgia is so small that our research has clearly demonstrated that the issue is at a very low level, one can also find the physical or legal entities in Georgia who have their opinions on this issue. However, this issue is at a very high level in developed countries such as the United States, the Federal Republic of Germany, etc.

The main essence of the work is to increase the awareness of lobbyism in Georgia as well as in other countries. Now the main task is to define the main characteristics of lobbyism, define its main characteristics, positive and negative aspects on the basis of its functioning and legal regulation analysis.

The aim of the work is to study the essence of lobbyism as a social-political phenomenon, the terms of its origin, development and establishment. The main term is to analyze the lobbying regulatory system in Georgia and promote it in Georgia and Georgian legal science.

სარჩევი

შესავალი _____

5თავი I. საკითხის კვლევის ისტორიისათვის

თავი 1.1. ლობიზმი, წარმოშობა და განვითარება _____8

თავი 1.2 ლობიზმის ცნება (მნიშვნელობა)_____10

თავი 1.3 ლობიზმის ნეგატიური და პოზიტიური გაგება_____15

თავი II. ლობიზმის სამართლებრივი ინსტრუმენტები და ასპექტები

თავი 2.1 ლობიზმისა და კორუფციის ურთიერთმიმართება_____19

თავი 2.2 ლობიზმი და სამართალი_____21

თავი 2.3 ლობიზმის რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები_____23

თავი III. ლობიზმი საქართველოში და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროცესების მართვა

თავი 3.1 საქართველო და ლობიზმი_____27

თავი 3.2 საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“_____30

თავი 3.3 ლობიზმის ცნობიერება საქართველოში_____33

თავი IV. კვლევის ანგარიში/ აღწერა.

თავი 4.1 კვლევა ლობიზმი , როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა__3

თავი 4.2 კვლევის შედეგები_____39

დასკვნა_____55

გამოყენებული ლიტერატურა _____

შესავალი

დღეისათვის ლობიზმი, როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ვინაიდან თანამედროვე დემოკრატია უკვე წარმოუდგენელი გახდა ლობირების პროცესის გარეშე. უფრო მეტიც ლობიზმის მიზნობრიობის გარდასახვის პირობებში იგი თანდათან წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთ-ერთ ფორმად შეიძლება განვიხილოთ.

ლობიზმის საკითხის შესაწავლა ყველა ქვეყნის სხვადასხვა მკლევრების თუ მეცნიერების ინტერესებს განეკუთვნება. რას წარმოადგენს ლობიზმი სინამდვილეში? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ემსახურება აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომი. სალიტერატურო მიმოხილვისას ჩვენ დავინახავთ, რომ ლობიზმის განმარტება არაერთგვაროვანია და მას ძალიან ბევრი აღქმა აქვს. სწორედ სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში ვხდებით მის განსხვავებულ ტერმინოლოგიას.

არსებობს კრიტიკული მიდგომაც ლობიზმისადმი, განსაკუთრებით მაშინ როდესაც, მას აღიქვამენ როგორც კორუფციის ერთ-ერთ სახედ. ასევე მას განიხილავენ , როგორც კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. კრიტიკოსების აზრით ლობირების პროცესში ხდება პოლიტიკაზე ზეწოლა ქრთამისა და ძვირფასი საჩუქრების მიცემის გზით. აქედან გამომდინარე, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ლობიზმს მჭიდროდ უკავშირებენ კორუფციას.

თუმცა, მიუხედავად კრიტიკოსების შეხედულებებისა, ლობიზმი ჩვენი დროის პოლიტიკური პროცესების განუყოფელი ნაწილია. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, ლობირება - სხვებზე ზეგავლენის მოხდენთავისებური ხელოვნებაა, მაგრამ როგორც პოლიტიკური მოვლენა ის გაცილებით უფრო ფართო და შინაარსიანია.

დღეისათვის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებობს ლობიზმის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები, კანონქვემდებარე აქტები, კანონები და ა.შ მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი. 1998 წლიდან მოყოლებული, საქართველო შედის იმ ქვეყნების ჩამონათვალში სადაც ლობირება რეგულირდება საკანონმდებლო დონეზე. ნებისმიერი ქვეყნისთვის აუცილებელია ლობისტური სამქიანობის კანონის ფარგლებსი მოქცევა, მისი გამჭვირვალობა და საჯაროობის უზრუნველყოფა, ვინაიდან, თავიდან იქნეს აცილებული სახელმწიფოზე ზეწოლა და კორუფციის მცდელობა.

საქართველოს დღევანდელ პირობებში ისეთი სპეციფიკური მოვლენა - როგორიცაა „ლობიზმი“, მისი დიდი ხნის არსებობის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა. თუმცა, ლობიზმი საზოგადოებაში ნებისმიერ შემთხვევაში არსებობს. თუ მისი განვითარება და საკანონმდებლო დონეზე მაღალი რეგულირება არ მოჰყვა, კორუფციის რისკი მაღალი იქნება. აქედან გამომდინარე, ჩვენ სულაც არუნდა ვიფიქროთ მის იგნორირებაზე, პირიქით, უნდა ვეცადოთ მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა და კანონის მკაცრ ფარგლებში მოქცევა.

თემის აქტუალობა - სამაგისტრო ნაშორმის აქტუალობა გამოიხატება საკითხის სიახლითა და აღნიშნულ საკითხზე არსებული პრობლემების სამართლებრივი საფუძვლების შესაწავლით. დღესდღეისობით ძალიან მწირია ინფორმაცია ლობიზმის შესახებ. თითქმის არ არსებობს ქართული ნაშრომები ამ საკითხთან დაკავშირებით და არ მოიპოვება ქართველი მეცნერებისა თუ პუბლიცისტების მიერ შედგენილი სალიტერატურო მასალები. ასე, რომ ნაშრომის მთავარი ამოცანაა

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საზოგადოებისთვის „ლობიზმის“, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენის, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების „ არსისა და სამართლებრივი ასპექტების“ გაცნობა.

კვლევის მიზანი - ჩვენი კვლევის მიზანია გავიგოთ, თუ რამდენად არის საქართველოში ლობიზმის ფენომენი ცნობილი საზოგადოებისთვის და მათი მოსაზრებების გაგება ამ საკითხთან დაკავშირებით.

კვლევის საგანი- კვლევის საგანია თანამედროვე საზოგადოება.

კვლევის მეთოდოლოგია - სამაგისტრო ნაშრომის მეთოდოლოგია ემყარება რაოდენობრივი კვლევის მეთოდს (თვისებრივი და სტატისტიკური ანალიზი), სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, საჯარო სამსახურებსა თუ კერძო, სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანების მოსაზრებებს, ასევე უცხოური გამოცდილების განხილვას, სტატიების, ინტერნეტ გამოცემებისა და ვებ გვერდებზე წარმოდგენილი მასალების დამუშავებას.

ჰიპოთეზა - ჩვენი თვალთახედვით ცნება „ლობიზმი“ საქართველოში იმდენად უცნობია საზოგადოების უმრავლესობისთვის და არ არის აქტიურ ფაზაში, რომ დღეისათვის ის ახალ გამოწვევად მიიჩნევა. ლობიზმი, როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენა, ძალიან საინტერესოა და მეტად მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე საზოგადოებისთვის. 21-ე საუკუნის საქართველო, ეს ის ქვეყანაა, სადაც მაღალ საფეხურზე უნდა იდგეს ლობისტური საქმიანობა და არა მხოლოდ პოლიტიკის მაღალ ეშელონებში, არამედ, საზოგადოებისა და პოლიტიკური პროცესების ნებისმიერ დონეზე.

თავი I. საკითხის კვლევის ისტორიისათვის

1.1. ლობიზმი, წარმოშობა და განვითარება

ლობიზმი, როგორც ამა თუ იმ ჯგუფისან და კატეგორიის საზოგადოების ინტერესების დაცვისა და გატარების მექანიზმი, ალბათ, უძველესი დროიდან არსებობს. მაგრამ როგორც მსოფლიოში აღიარებული ინსტიტუტი, ის თანამდეროვე სამყაროს ფენომენია. ლობიზმი, როგორც საკანონმდებლო ორგანოს წევრებზე ან სახელმწიფო დაწესებულებების მოხელეებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება, ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე სოციალურ-

ეკონომიკურ - პოლიტიკურ პრაქტიკაში. მისი განმარტება არაერთგვაროვანია, როგორც მისდამი დამოკიდებულება სამეცნიერო ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში.

ხშირად ისმის კითხვა თუ რა არის სინამდვილეში ლობიზმი და საიდან მომდინარეობს? ხელს უწყობს დემოკრატიას თუ აბრკოლებს მის განვითარებასდა ქმნის არადემოკრატიულ სახელმწიფოს? რა მიმართებაა ლობიზმსა და პოლიტიკას, ეკონომიკას, საზოგადოებას შორის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავიგოთ რა არის ცნება ლობიზმი და საიდან წარმოიშვა ის. ერთ - ერთი ვერსიის თანახმად, ლობიზმი საბაზრო ტიპის დემოკრატიის ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმია, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური პროცესის ღიაობას და ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების თვითნებობას და სუბიექტურობას. ამავდროულად, ლობიზმის გავითარების ისტორია კანონმდებლებსა და მოხელეებზე დაუშვებელი მეთოდებით ზეწოლის ფაქტებითაა სავსე.

,,ლობიზმის ინსტიტუტი დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობს და დიდი ხანია თითქმის ყველა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილი გახდა. ეს ინსტიტუტი გარკვეულ წილად სტიქიურად ჩამოყალიბდა, სახელმწიფო ამას არათუ ხელს არუწყობდა, არამედ ხშირად მის აღმოფხვრასაც ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ. ეს იმით აიხსნება, რომ არსებობს რიგი საერთო მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ლობიზმის წარმოშობასა და განვითარებას. ეს მიზეზები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს“ [9, 3].:

,,1.დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოსაგან ავტონომიურად ჩამოყალიბებულ სამოქალაქო საზოგადოებას არ შეიძლება ურთიერთობა არ ქონდეს საელმწიფოსთან. ასეთი ურთიერთქმედების ცენტრალურ არხს სწორედ სახელმწიფო სტრუქტურებში სამოქალაქო საზოგადების ორგანიზაციების მრავალფეროვანი ინტერესების ლობირება წარმოადგენს.ლობირების აწყობილი და მკაფიოდ რეგლამენტირებული სისტემა შესაძლებლობას იძლევა საემწიფო

ორგანოებში წამოდგენილი იყოს სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანებების უმნიშვნელოვანესი ინტერესები,ხელს უწყობს ურთირთობათა სრულყოფას საელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

2.ლობიზმის ინსტიტუტი საზოგადოებრივი ინტერესების პლურალიზმის მოწესრიგების ფუნქციას ასრულებს.გასაგებია, რომ ყოველი ადამიანი, ყოველი საზოგადოებრივი გაერთიანება თავის სპეციფიკური ინტერესების მიღწევას ცდილობს. უფრო მეტიც ის ესწრაფვის დაიცვას თავისი ინტერესები მისთვის მისაწვდომი ყველა საშუალებით, იურიდიული ნორმების გათვალისწინებით.აქედან ცხადია, რომ გარკვეული სამართლებრივი ველის ფარგლებში მათი ინტერესები ერთმანეთს ეჯახება და აუცილებელია ნტერესების შედარბისა და პრიორიტეტების განსზღვრის ხერხებისა და მექანიზმების არსებობა.იმ შემთხვევაშიც კი, როდსაც ლობიზმს ადამიანთა უმნისვნელო ჯგუფი ახორციელებს, ლობირების შედეგები შეიძლება საკმაოდ მაშტაბური აღმოცნდეს და ხშირად ეხება ადამიანთა ფართო ფენების ინტერესებს.

3.მრავალეროვან სახელმწიფოებში ლობირების ობიექტი ხელისუფლებით სტრუქტურებში სხვადასხვა სახის ეროვნული ინტრესებიც ხდება.

4.ლობიზმს გარკვეულწილად შეუძლია დემოკრატიული მმარტველობის კონსტიტუციური სისტემის შევსება. ის შესაძლებლობას ქმნის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრიობის იმ ჯგუფებმა ,რომლებიც ასე თუ ისე მოკკლებულნი არიან ამას.“[9, 3].

ლობიზმის ინსტიტუტის ფართოდ გავრცელებული მიზეზების ჩამოთვლა შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ, თუმცა ზემთქმულიდან ცხადია, რომ ლობიზმის ინსტიტუტის წარმოშობასა და ფუნქციონირებას ობიექტური საფუძველი აქვს. ლობიზმის სისტემაში მჭიდროდაა ერთმანეთთან გადახლართული სხვადასხვა

ინტერესები. მაგ: პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და მრავალი სხვა. ამ ინტერესებს შორისაც კი უფრო მეტად ჭარბობს ეკონომიკური მიზნები. პოლიტიკური ხელისუფლების სტრუქტურებში ყველაზე ხშირად ეკონომიკური ინტერესების ლობირებას ახდენენ, ამიტომ ლობირების ინსტიტუტის შესწავლა ძალზედ მნიშვნელოვანია ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის პრობლემის გასაგებად.

ლობირება სხვებზე ზეგავლენის მოხდენის თავისებური ხელოვნებაა, მაგრამ როგორც პოლიტიკური მოვლენა ის გაცილებით უფრო ფართო და შინაარსიანია. ლობიზმი შეიძლება განვიხილოთ როგორც პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც ინტერესების პოლიტიკური წარმომადგენლობა რეალიზდება. ამიტომ მართებულია ვამტკიცოთ რომ ლობიზმი პოლიტ სისტემის აუცილებელი ატრიბუტია.

1.2 ლობიზმის ცნება

,,მე-16 საუკუნეში, შუა საუკუნეების ლათინური ენიდან ინგლისურში შევიდა სიტყვა „ლობი“. თავდაპირველად ის გამოიყენებოდა მონასტრებში გადასასვლელების ან გადახურული გალერეების აღსანიშნავად. მე-17 ს-ის 40-იან წლებში კი ასე უწოდებდნენ ვესტიბულსა და ორ დერეფანს ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის შენობაში. (სწორედ იქ გადიოდნენ დეპუტატები ხმის მისაცემად და იქ ხვდებოდნენ სხვა ადამიანებს, რომლებიც არ დაიშვებოდნენ პლენარულ სხდომაზე). „[9, 3].

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როდის გაჩნდა თანამედროვე, ანუ პოლიტიკური მნიშვნელობით ლობიზმის ცნება. ლობიზმი,

როგორც სიტყვა, პირველად გაჩნდა 1808 წელს აშშ-ის მე-10 მოწვევის კონგრესის ოქმებში. თუმცა ზოგი თვლის, რომ ლობიზმი თანამედროვე მნიშვნელობით 1829 წელს წარმოიშვა, როდესაც ცნობილმა იარაღის მწარმოებელმა სამუელ კოლტმა კონგრესმენს 10 000 აშშ $ გადაუხადა მისთვის საჭირო და მისთვის სასარგებლო კანონის მისაღებად. ხშირ შემთხვევაში ლობიზმის ქვეშ ესმოდათ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმდების მთელი არასაპარლამენტო პროცესი. ინგლისელი მკვლევარი ფაინერის თქმით(1958) „ლობიზმი არის ორგანიზაციის ნებისმიერი საქმიანობა,რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე საკუთარი ინტერესებისათვის ხლშეწყობის მიზნით,ამასთან ეს ორგანიზაციები პარტიებს საპირისპიროდ მზად არ არიან თავად განახორციელონ უშუალო ხელისუფლება ქვეყანაში“.[2, 11].

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ლობიზმი კონსტიტუციურადაა დაცული, არეგულირებს სახელმწიფო და ის საკანონმდებლო დონეზეა დაყვანილი, ზოგიერთები ლობირებას განიხილავენ როგორც ხელისუფლების საკანონდებლო და აღმასრულებელი ორგანოებით მანიპულირების მცდელობას. და მაინც ლობიზმის მიმართ ყოველთვის ასეთი პოზიტიური და მისაღები დამოკიდებულება არ იყო, 1913 წელს როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ვუდრო უილსონი გახდა, მოითხოვა ლობისტებს ვაშინგტონი დაეტოვებინათ, რათა აღარ მიეღოთ მონაწილეობა ლობისტურ საქმიანობაში.

,,XX საუკუნის 30-იანი წლებიდან ტერმინი „ლობიზმი“ ფართოდ გავრცელდა მსფლიოს მრავალ ქვეყანაში და იგი გახდა ერთ-ერთი ყველაზე გამოყენებადი ცნება მა თუ იმ ქვენის პოლიტიკურ ცხოვრებაში.ამასთან , ტერმინმა განსხვავებული დატვირთვა შეიძინა და თუ თავდაპირველად იგი მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს დერეფნებში გარკვეული თანხის სანაცვლოდ ხმის მოსყიდვასთან ასოცირდებოდა, შემდეგში იგი გარკვეული პოლიტიკური პროცესის აღმნისვნელი ტერმინი გახდა.“[9, 7-8].

,,ტერმინ ლობიზმის პოპლარობის პიკი ინგლისურენოვან ლიტერატურაში მე-20 საუკუნის 50-60 იან წლებზე მოდის, მაგრამ მას უკვე განსხვავებული მნიშვნელობა ქონდა. ხშირად ლობიზმის ქვეშ ესმოდათ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედების მთელი არასაპარლამენტო პროცესი. ლობიზმის დეფინიცია პირობითად შეიძლება ორი მნიშვნელობით იქნეს გაგებული , მისი სიტყვასიტყვით არსით და იმ მრავალმხივი მოვლენის დახასიათებით , რაც მას უკავშირდება . ლობიზმის როგორც სიტყვასიტყვით მნიშვნელობა მისი როგორც „ზემოქმედების მოხდენის“ საშუალების დახასიათებას შეეხება, ხოლო ფართო გაგებით იგი გულისხმობს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედებისათვის.“[9, 7-8].

,,ლობიზმის დეფინიცია მრავალმხრივ შინაარსისაა, მისი ინტერპრეტაცია პერიოდულად იცვლებოდა და მასზე არსებული შეხედულებები უფრო ფართო მნიშვნელობას იძენდა.თავდაპირველად ლობიზმი მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს კულუარებში მიმდინარე პროცესების ამსახველ ტერმინად მოიაზრებოდა“. [9, 13-14].

როგორც უკვე ვიცით ლობიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელისუფლებასთან, მის მმართველ გუნდთან, რასაც გვერდს ვერ ავუვლით. ლობიზმის როგორც განსაკუთრებული პოლიტიკური მოვლენის ფუნქცია, ემყარება დემოკრატიული საზოგადოების ყოველი მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებას ინდივიდუალური და კოლექტიური მიმართვები გაუგზავნოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და თანამდებობის პირებს . ეს უფლება დაფიქსირებულია ყველა დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუციაში და კანონმდებლობაში. ლობიზმი ზოგადად მრავალსაფეხურიანი მოვლენაა. ის ასრულებს თავისებური პოლიტიკური ინსტიტუტის როლს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაინტერესებული ჯგუფების უფრო სრულ მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობაში.

ლობირება და ლობიზმი, უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონშემოქმედებით პროცესში, პარლამენტარებს და პოლიტიკოსებს ეხმარება ინფორმაცია მიიღონ ცხოვრების ისეთ სპეციფიური სფეროების შესახებ, რომლის თაობაზეც ყოველთვის არ არიან კარგად ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ ლობიზმის ინსტიტუტის დადებითად მუშაობა ჩვეულებრივ ხელსაყრელია მთლიანად საზოგადოებისთვს. ის აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს ყველა სახელმწიფოში თავისი ეთიკური და კულტურული ღირებულებების შესაბამისად. რასაკვირველია ლობიზმსაც გააჩნია თავის მხრივ ნაკლოვანებები და მინუსები, მაგრამ ისინი იმდენად მცირეა, რომ ვერ ჩრდილავს თავის დადებით მხარეებს. სწორედ დემოკრატიული ლობირების ძირითადი და მთავარი ამოცანაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში გათვალისწინებული იყოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების, მათი ორგანიზაციების ის სპეციფიური ინტერესები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტრესებს. თვალსაჩინო მაგალითისთვის ავიღოდ ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ლობიზმს უდიდესი მნიშვნელობა აკისრია დღესაც და გასულ წლებშიც, ის ძალიან დიდ ფუნქციას ასრულებს ამერიკის, როგორც, სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და სრულ მოქმედებაში.

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ლობიზმზე შეხედულებებისა და მისი კონტროლის შესახებ, შეიძლება გამოიყოს სამი ტიპი:

,,1. მსოფლიო მხარდაჭერა ლობიზმს, ლობისტური პროცესის პოპულარიზაცია. ამის გამოხატულებაა უპირველეს ყოვლისა ამერიკელი ლობისტების ლიგა, რომელმაც შეიმუშავა ლობისტების ეთიკური კოდექსი. ეს ორგანიზაცია ეწევა პროპაგანდას ლობიზმის მნიშვნელობის შესახებ და თუ რა მნიშვნელოვანია ის სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში.

2. ნეიტრალური დამოკიდებულება ლობიზმისადმი და მისი განხილვა, როგორც ჩვეულებრივი პოლიტიკური მოვლენა. აღნიშნული ტიპის მიმდევარია პოლიტიკური ცენტრი, რომლის ძირითადი ამოცანაა ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ლობისტების საქმიანობის შესახებ.

3. ლობისტების საქმიანობის კრიტიკოსები. ამ ტიპის მიმდევრები ცდილობენ ლობისტური საქმიანობის არეალის შევიწროვებას ან მკაცრ კონტროლზე აყვანას. მათი აზრით საზოგადოების ჯგუფებს უნდა შეეძლოთ თავიანთი ინტერესების შესახებ პეტიციების წარდგენა და მიღების მოთხოვნა ლობისტებისა და მათი შუამდგომლობის გარეშე.“[9, 7-8].

ასეთი შეხედულებების ფონზე ჩვეულებრივი მოქალაქეების დამოკიდებულება ლობიზმისადმი აშშ–ში ნეგატიურია. ისინი თვლიან, რომ ლობისტების საქმიანობა აკნინებს დემოკრატიულობას, არღვევს ამომჩეველთა ინტერესებს და ზოგადად აზიანებს დემოკრატიას.

თანამედროვე პირობებში, ლობიზმი პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად მოიაზრება. იგი თავის შინაარსითა და წარმომავლობიტ დემოკრატიას დაუკავშირდა და გარკვეულ ფუნქციას ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

,,ამასთან, აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ლობირება მხოლოდ ერთი თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს გაგებული. მას აქვს ბევრი სხვადასხვა მნიშვნელობა და არსი. ზემოთ აღნიშნულიდან განსხვავებით ლობირება შეიძლება მოვიაზროთ როგორც დარწმუნების მნიშვნელოვანი საშუალება. თუმცა ვფიქრობ მთავარი არის ის ფაქტი, რომ ლობიზმი ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესების საჯაროობას, აფართოებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე სუბიექტთა წრეს და ზღუდავს სახელმწიფო ხელისუფლების ბიუროკრატიულ ჩარჩოებს“. [4, 19].

როგორც, გია გოგიბერიძე თავის ნაშრომში „ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები“ განიხილავს: „ ლობიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ იგი აღმოცენდა და ვითარდება ძალაუფლებასთან მჭიდრო კავშირში“. ასევე რუსი მეცნიერი ა.მალკოს თქმით, ლობიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლტიკურ ძალაუფლებასთან. დღევანდელობაში , ვფიქრობ ეს მართლაც ასეა. ლობიზმი არის იქ , სადაც არის ძალაუფლება. ამ შემთხვევაში ძალაუფლებაში მოიაზრება - „ხელისუფლება“.[4, 20].

1.3 ლობიზმის ნეგატიური და პოზიტიური გაგება

თავად სიტყვა „ლობიზმს“ სხვადასხვაგვარად აფასებეს ზოგადად საზოგადოებრივი აზრი, რადგანაც მას აქვს არა მარტო ლეგალური, არამედ „ჩრდილოვანი„, ან უარესი - არალეგალური მნიშვნელობაც . ამ მეორე

მნიშვნელობით ლობიზმს მთლიანად უარყოფითი დატვირთვა ეძლევა და განიხილება „პროტექციონიზმისა“ და „მოსყიდვის“ სინონიმად, აღიქმება ხმების ყიდვად ვინმეს კერძო ან ვიქროპარტიული ინტერესების შესაბამისად, საარჩევნო პროცესის საკუთარი ინტერესების წარმართვად, საზოგადოებისთვის საზიანოდ.

,,ნეგატიური ლობიზმის უკიდურესი გამოვლინებაა უკანონო ზეწოლა ელისუფლების წარმომადგენლებზე, მექრთამეობა, კორუფცია, რომლის დახმარებითაც მიიღება მმართველობითი გადაწყვეტილებანი გარკვეული ჯგუფების ან პირების ინტერესების შესაბამისად. ლობიზმისადმი უარყოფითი დამოკიდებულება სწორედ ამგვარი პრაქტიკის გამო ჩამოყალიბდა.“ [9, 13].

პოზიტიური აზრით, ლობიზმი ხასიათდება როგორ ჯანსაღი, ნორმალური, სასიცოცხლოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც დემოკრატიული პროცესის ინსტიტუტის სახით გამოდის. ასევე ამგვარიშეხედულებით, ლობიზმი რა თქმა უნდა ეს არის ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფების ერთობლიობა, რომლებიც მიმართული არიან სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთქმედების გასაგებად. აგრეთვე ის ვინც ფიქრობს, რომ ლობიზმი საფრთხეა დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის და მათი არსებობისთვის, შეიძლება ითქვას რომ ეს აფსურდია,ადგან დღეისათვის არსებობს ეთიკური კოდექსი, აგრეთვე წესები და კანონი, რომელიც განსაზღვრავს ლობიზმის საჯაროობის უზრუნველოფას, ლობისტთა ანგარიშგების მკაცრი მექანიზმებისა და სანქციების დაწესებას.

ლობიზმის იდეასთან, მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით მრავალ მეცნიერსა თუ მკვლევარს სხვადასხვა მოსაზრება გააჩნია, მაგალითად, სიუზან როუზ-აკერმანი თავის წიგნში „კორუფცია და ხელისუფლება, მიზეზები, შედეგები და რეფორმა“აღნიშნავს, რომ მაღალი განვიტარების ქვეყნების უმრავლესობა უკრძალავს სამოქალაქო მოსამსახურეებს ან ე.წ. ინტერესთა ჯგუფებს იმ გადაწყვეტილებების და დასკვნების მიღების პროცესში მონაწილეობას, რომლებიც

მათ ფინანსურ ინტერესებს ეხება, რადგან ამ შემთხვევაში არსებობს საკმაო ეჭვი იმისა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედებს.

თუ ჩავუღრმავდებით თეორიულ, შინარსობრივ და პრაქტიკულ თვალსაზრისებს, დავინახავთ რომ ლობიზმი საკმაოდ განსხვავდება კორუფციისაგან. ლობირების ლეგალური სისტემის პირობებში ძლიერდება ინტერესებისა და მსოფლმხედველობის გამოხატვის, წარდგენის შესაძლებლობები, რაც საზოგადოების პლურალიზაციის პირობებში მრავალგვარი ინტერესების გამოხატვასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მრავალი პიროვნების ჩართვას უწყობს ხელს. ლობიზმისა და კორუფციის საგულისხმო განმასხვავებელ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ მათი განხორციელების მოქმედების სახეები. ლობიზმი, როგორც ლეგალურად აღიარებული ,,პროფესია" ძირითადად ინფორმაციის გაცვლას, დარწმუნებასა და კანონმდებლობით დაშვებული ნორმატიული აქტების, ასხვა ხერხების გამოყენებას გულისხმობს, მაშინ როცა კორუფცია ფულის ან სხვა სარგებლის გადაცემას ნიშნავს.

ლობიზმის ავ-კარგიანობის შესახებ საკმაოდ საინტერესო განმარტებას გვაძლევენ აგრეთვე ბონის უნივერსიტეტის შრომითი ურთიერთობების შემსწავლელი ინსტიტუტის ექსპერტები კამპოსი და ფრანჩესკო ჯიოვანი, რომლებიც სწავლობდნენ ლობიზმისა და პოლიტიკური პროცესების ურთიერთმიმართებას. მათი აზრით ლობირება შესაძლებელია იყოს უფრო მეტად ეფექტური ქვეყნის განვითარებასთან ერთად, რომ თვით ღარიბი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და მათი ფირმები მიიჩნევენ, რომ ლობირება მეტად ეფექტური საშუალებაა პოლიტიკური გავლენის განსახორციელებლად.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ლობიზმის მახასიათებელი, რამდენიმე დადებითი ასპექტი:

- ,,ლობირება წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობისა და ურთიერთთანამშრომლობის მოქნილ საშუალებას“ . [9, 13].
- ,,ლობირება წარმოადგენს თავისებურ სოციალურ - პოლიტიკურ სტიმულატორს, რომელიც საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე აჩქარებს ამა თუ იმ საზოგადოებისათვის აქტუალურ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესს“ [9, 13].
- ,,ლობირება წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას, რათა სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ინსტიტუტის წარმომადგენლები ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ გადწყვეტილების მიღების პროცესში“ [9, 13].
- ,,ლობირება წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფის ან ჯგუფების შესაძლებლობას კანონმდებლობით დაშვებული სხვადასხვა, მათ შორის არაპირდაპირი საშუალებებით, უზრუნველყონ თავიანთი ინტერესების წარმოდგენა და მათი გატვალისწინება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში“.[9, 13].
- ,,ლობირება აფართოებს ინფორმაციულ და ორგანიზაციულ ბაზას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ სუბიქტს ფლობდეს მაქსიმალურად დიდ ინფორმაციას განსხილველი საკითხის თაობაზე“ [9, 13].

რაც შეეხება ლობიზმის ნაკლოვანებებს შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგზე:

- ,,ლობიზმი შეიძლება იქცეს სახელმწიფო/ეროვნული ინტერესების საზ იანოდ უცხოური ინტერესების პრიორიტეტული დაკმაყოფილების ინსტრუმენტა დ“ [9, 13].

- ,,ზოგჯერ გამოდის სახელმწიფო ორგანოებზე არასამართლებრივი ზე მოქმედების გამტარებლად, რომლებიც “ძირს უთხრიან” ხელისუფლების საძირკ ველს;“[9, 13].
- შეიძლება იქცეს უწყებრიობის, გარვეული კუთხეების განვითარებისა და დაცვის ფაქტორად;
- ,,შეიცავს საფრთხეს “წაშალოს” საზოგადოებისთვის დემოკრატია, ხოლო, დემოკრატიული ინსტიტუტები გადააქციოს ცალკეული სახელისუფლო ჯგუფების მძლავრ იარაღად“.[9, 13].
- ,,გარკვეულ პირობებში ლობისტური ღონისძიებანი შეიძლება გამოჩნდეს სოციალური უსამართლობის ფორმით.“ [9, 13].

,,ლობიზმი ზოგჯერ ძალზედ უშლის ხელს სტაბილური და ოპერატიული სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, რადგანაც შიძლება მიმაღტული იყოს ბიუჯეტის მუდმივი გადანაწილებისაკენ, პრიორიტეტების ხშირი ცვლილებისაკენ, ხელისუფლების ერთი შტოს გაზლიერებისაკენ და სხვების შესუსტებისაკენ. ასევე ლობიზმი შეიძლება გამოყენებული იქნას ცალკეული ფენების, ელიტების გამდიდრების ინსტრუმენტის სახით. [5].“

,,აღნიშნული ნაკლოვანებების ფონზე, იბედაბა კითხვა თუ როდისაა ლობიზმი სასარგებლო საზოგადოებისთვის?! იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ზემოდ ხსენებული ნაკლოვანებები და ლობიზმა სარგებელი მოუტანოს მთელ ქვეყანას, აუცილებელია შესაბამისი პირობები :

- **დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ნორმების რეალური მოქმედება**
- **მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება**
- **მდგრადი სამოქალაქო საზოგადოება**
- **მკაფიო და არაწინააღმდეგობრივი სამართლებრივი რეგულირება.**

„[5]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლობიზმი თავისი მოქმედების პირობებში იყოფა ლეგალურად და არალეგალურად. ამ უკანასკნელის ,,არალეგალურის“ ქვეშ იგულისხმება მაღალი ელიტარული საზოგადოების, უფგრო სწორად თანამდებობის პირთა მოსყიდვა. ზოგიერთ დემოკრატიულ ქვეყნებში, მაგალითად როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, ინგლისი და ა.შ კორუფციისათვის წინააღმდეგობის გასაწევად, მიღებულია სპეციალური კანონები ლობიზმის შესახებ, რომელიც არეგულირებს შესაბამისი საქმიანობის წესებს. დღეისათვის ამგავრი კანონი გვაქვს აგრეთვე საქართველოშიც, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თავი II. ლ ო ბიზ მის სამართლებრივი ინსტრუმენტები და ასპექტები

2.1 ლობიზმისა და კორუფციის ურთიერთმიმართება

ლობიზმის საკითხის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ ლობიზმისა და კორუფციის ურთიერთმიმართების საკითხი. ვინაიდან, ლობიზმის აღმოცენების თავდაპირველ ეტაპზე და ლობიზმის ინსტიტუციურ დამკვიდრებამდე ეს ორი მოვლენა ერმანეთთან მჭიდროდ ასოცირდებოდა და ლობიზმი კორუფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაირსახეობად განიხილებოდა.

ლობიზმს და მის მნიშვნელობას აგრეთვე ისე განიხილავენ, როგორც კანონიერი კორუფციის გამოხატულებად, რადგანაც ორივეს - ლობიზმსა და კორუფციას აერთიანებს ის გარემოება, რომ ორივე მიმართულია სახელმწიფო თანამდებობის პირის ქმედებაზე, რომ მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების შესაბამისად. თუმცა ცხადია ის გარემოება რომ თეორიული,

შინაარსობრივი და პრაქტიკული თვალსაზრისით, ლობიზმი მნიშვნელოვნად განხვავდება კორუფციისაგან. ასევე ლობისტური საქმიანობა განსაზღვრულია გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტებზე, განსაკუთრებით კი საკანონმდებლო ორგანოებზე, ზემოქმედებისაკენ პოლიტიკის შეცვლის ან გაუმჯობესებისაკენ.

ლობიზმი, როგორც ლეგალურად აღიარებული საქმიანობა, ძირითადად ინფორმაციის გაცვლას, დარწმუნებასა და კანონმდებლობით დაშვებული სხვა ხერხების გამოყენებას გულისხმობს, მაშინ როცა კორუფცია და მექრთამეობა ფულის ან სხვა სარგებლის გადაცემას გულისხმობს. ლობიზმისა და კორუფციის განმასხვავებელ ნიშნად ასევე შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნულ ქმედებათა შედეგად მიღწეული შედეგები. როგორც წესი, საუკეთესო ლობისტური საქმიანობის შედეგად მიღებული შედეგებით შეიძლება ისარგებლონ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებულმა პირებმა, აგრეთვე, მსგავსი საკითხით დაინტერესებულმა სხვა პირებმაც, მაშინ როცა კორუფიული ქმედების „სიკთით“ უმეტეს შემთხვევაში ერთჯრადი სახით შეიძლება ისარგებლონ მხოლოდ აღნისნული საკითხით დაინტერესებულმა პირებმა. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პირობებში დაინტერესებული სუბიექტები მათთვის სასურველი შედეგის მისაღწევად უფრო ნაკლებ ეფექტურად მიიჩნევენ კორუფციულ მეთოდებს, ვიდრე ლობირებასთან დაკავშირებულ საშუალებებს. ლობიზმის წარმოშობისა და განვითარების პერიოდიდან სხვადასხვა ქვეყნებში კორუფციულ ქმედებებს, სულ უფრო და უფრო ხშირად ანაცვლებს ლობირების ცივილიზებული, ლეგალური საშუალებები.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ნაურო ფ.კამპოსისა და ფრანჩესკო ჯიოვანის მოსაზრებებზე, რომლებიც სწავლობდნენ ლობირებისა და კორუფციის როლს პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენაზე. მათი მოსაზრებით „ლობირება შესაძლებელია იყოს უფრო მეტად ეფექტური ქვეყნის განვითარებასთან ერთად“ , „ ჩვენი შედეგები აჩვენებს, რომ თვით ღარიბი და

ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ფირმები მიიჩნევენ, რომ ლობირება უფრო ეფექტური საშუალებაა პოლიტიკური გავლენის განსახორციელებლად, ვიდრე კორუფცია“.[18, 22].

აშშ–ში ლობისტური საქმიანობა მკაცრად რეგულირდება კანონითა და ეთიკის კოდექსით, რათა ის არ გადაიქცეს კანონიერი კორუფციის ფორმად. ამიტომ ლობისტებს ეკრძალებათ ძვირადღირებული საჩუქრების გადაცემა ამა თუ იმ თანამდებობის პირზე. ერთადერთი გამონაკლისი ლობისტების მიერ თანხის აღებისა არის, როდესაც ფინანსდება პოლიტიკური პიარ კამპანია ან საარჩევნო კამპანია...

კორუფციასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში 2006 წელს ერთი საინტერესო შემთხვევა მოხდა. ლობისტ ჯეკ აბრამოვის ირგვლივ ვაშინგტონში აგორებულმა სკანდალმა დაამტკიცადა მსოფლიოს აჩვენა, რომ ფულით, მატერიალურად, შეერთებულ შტატებშიც შესაძლებელია ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საწინააღმდეგო სამართლებრივი ბარიერების გვერდის ავლა. 2006 წელს აბრამოვმა მულტიმილიონ დოლარად შეფასებულ ფინანსურ მაქინაციებში თავი დამნაშავედ ცნო. ამავე წელს ამერიკის ლობისტთა ლიგის ეთიკის კომიტეტის ხელმძღვანელი ტომ სუსმანი ამბობდა: “**არის გარკვეული სფეროები, რომელთა ირგვლივაც კანონი მკაფიო განსაზღვრებას არ იძლევა. კანონი კრძალავს კონგრესის წევრის მოქრთამვას და სანაცვლოდ ქრთამის მიმცემლისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას, მაგრამ ისმის კითხვა-საიდან გავიგოთ,ჰქონდა თუ არა,მაგალითად რუსული პროდუქციის იმპორტის თაობაზე კენჭისყრაში მიცემულ ერთ-ერთ ხმას კავშირი საჩუქრებთან ან სხვა პრივილეგიებთან? მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ არ უნდა იქნეს გამოძიებული მსგავლი საკითხები**“ [22].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ლობირების სამართლებრივი რეგულირება და მისი კანონის ფარგლებში მოქცევა ერთიანი ანტიკორუფციული სტრატეგიის

ნაწილად განიხილება. შესაბამისად, ყველა კანონის ცვლილება, რაც ლობიზმის რეგულირებას უკავშირდება, სწორედ ანტიკორუფციული პოლიტიკის შედეგად ხორციელდება, როდესაც ერთის მხრივ ხდება პოლიტიკური ელიტის და საჯარო მოხელეთა საქმიანობის რეგულირება, საჯარო სამსახურის მომწესრიგებელი ნორმების სრულყოფა, ხოლო მეორეს მხრივ დგინდება და ვლინდება საჯარო ფუნქციის შესრულებისას ზემოქმედების დაშვების პირობები და ზემოქმედების ფორმები.

2.2 ლობიზმი და სამართალი

ლობიზმი რა თქმა უნდა ვერ იქნებოდა პოლიტიკურ - საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის ღირებული საშუალება, რომ არაარსებული კანონები, წესები და სამართლებრივი ნორმები მისი რეგულირებისა, სწორედ აქედან გამომდინარე მოიპოვა მან მნიშვნელოვანი პოზიტიური დამოკიდებულება. ლობიზმის განვითარება და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღების ხერხი, რეგულირდება სწორედ სამართლის იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც აკონტროლებენ ამ სფეროში ფიზიკური თუ იურიდიულ პირების საქმიანობას და ზოგადად სისტემას.

მსოფლიოში, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია ყველაზე მდიდარი გამოცდილება და ხანგრძლივი ისტორია ლობიზმის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით. ამერიკულ პოლიტიკურ სივრცეში აღმოცენებულმა აღნიშნულმა მოვლენამ და მისმა ფართო გავრცელებამ აშშ-ში, მნიშვნელოვნად დღის წესრიგში დააყენა მისი საკანონმდებლო რეგულირების აუცილებლობა. აღიარებულია, რომ ლობიზმის, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენის, დამკვიდრების საქმეში ღირებული როლი შეასრულა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის პირველმა

შესწორებამ, რომლის მიხედვით გარანტირებული იქნა საზოგადოების მიერ სახელმწიფო ორგანოებისადმი პეტიციით მიმართვის შესაძლებლობები. ამასთან სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა პირველად იდეა და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები მოეხდინათ ლობისტური საქმიანობის რეგულირება და საკანონმდებლო ჩარჩოებში მოექციათ აღნიშნული პროცესი.

ერთ-ერთი პირველი კანონიერი დოკუმენტი, რომელიც ფედერალურ დონეზე ,,ითვალისწინებდა ლობისტური საქმიანობის რეგულირებას, იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში 1938 წელს მიღებული კანონი - „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ (FARA), რომელიც გარკვეული ცვლილებებითა და დამატებებით დღესაც მოქმედებს. აღნიშნული კანონის ძირითადი მიზანი იყო შეეზღუდა სხვადასხვა ქვეყნის აგენტების და უცხოური პროპაგანდის გავლენა ამერიკის სახელმწიფო პოლიტიკაზე, განსაკუთრებით ნაცისტური მოძრაობის. აღნიშნული კანონი/ წესდება ითვალისწინებს, რომ ყველა პირი რომელიც ეწევა ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას, ვალდებულია და აუცილებელია აღნიშნული საქმიანობის დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში დარეგისტრირდეს ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის, კერძოდ, იუსტიციის დეპარტამენტში და წარადგინოს შესაბამისი განცხადება და დოკუმენტაცია. კანონის მოთხოვნების დარღვევა, მათ შორის რეგისტრაციის გარეშე, არალეგალურად საქმიანობა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღება, აგრეთვე რეგისტრაციისათვის ყალბი ან არასწორი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, საბუთების წარდგენა, ან ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობა შექმნის პასუხისმგებლობას, კერძოდ ჯარიმას 10 000 აშშ დოლარის ოდენობით ან პატიმრობას ხუთ წლამდე ვადით, აგრეთვე შესაძლებელია ზემოთ მოყვანილი ორივე პასუხისმგებლობა ერთდროულად შესრულდეს. არსებული ინსტიტუტი იტოვებს ვალდებულებას, რომ რაიმე მსგავსი დარღვევის ან კანონის არასწორად შესრულების შემთხვევაში პირი გაძევებულ იქნეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

აღსანიშნავია, რომ სწორედ მითითებული კანონების საფუძველზე, რამდენიმე მედიაში გახმაურებული პროცესი გაიმართა. მათ შორის 2009 წელს მაიამის სასამართლომ ბიზნესმენ ფრანკლინ დიურანს მიუსაჯა ოთხი წლით პატიმრობა, მიიჩნია რა იგი ვენესუელის არარეგისტრირებულ აგენტად, 2010 წელს წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი მიჩიგანის შტატიდან მარკ სილდჯენერი დაადანაშაულეს ლობირებაში ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაციის ინტერესების სასარგებლოდ, რომელიც შემჩნეული იყო ტერორ[1]ისტულ ორგანიზაციებთან კავშირში [22, 20].

,,1995 წელს, ლობისტური საქმიანობის სრულყოფილი მოწესრიგებისა და აღნიშნული პროცესის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით,ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალურ დონეზე იქნა მიღებული ლობისტური საქმიანობის მარეგულირებელი ახალი სამართლებრივი აქტი-ლობისტური საქმიანობის საჯაროობის შესახებ (LDA). "ლობიტური საქმიანობის საჯაროობის შესახებ" აშშ-ს 1995 წლის კანონის მთავარი ინიციატორის სენატორ კარლ ლევინის შეფასებით აშშ-ს ახალი კანონი ნამდვილად ამუშავდა.ახალი კანონის ამოქმედებისთანავე გაიზარდა რეგისტრირებული ლობისტების რაოდენობა, გაიზარდა ინტერესები პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღებისა" [9, 13].

,, აღნიშნული კანონი ითვალისწინებდა რა „ლობიზმის რეგულირების შესახებ" 1946 წლის ფედერალურ კანონში არსებულ ხარვეზებსა და კანონმდებლობაში ადმინისტრაციული და საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერების აუცილებლობას,დეტალურად განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებიც ლობისტური საქმიანობის განმახორციელებელ პირთა რეგისტრაციას, მათ ანგარიშგებასა და საჯაროობას უკავშირდება. ამასთან, მითითებული კანონი ამომწურავად განმარტავს ყველა იმ ძირითად ცნებებასა თუ დებულებას,რაც ლობირების პროცესს უკავშირდება." [16].

---

[1] LDA – Lobbying Disclosure Act

,,აღსანიშნავია, რომ კანონის დებულებები კიდევ უფრო სრულყოფილი გახდა მითითებულ კანონში 2007 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად,რომლის მიზანი საკანონმდებლო პროცესის კიდევ უფრო გამჭვირვალეობის უზრუნველყოფა იყო.გარდა ამერიკისა,კანადისა და სხვა რიგ ქვეყნებისა, ლობიზმის შესახებ კანონზე მუშაობა დაიწყეს აგრეთვე პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებმა (მათ შორის საქართველომაც). მაგალითად უკრაინაში 2012 წლის მონაცემებით,ბოლო წლების განმავლობაში უკრაინის რადაში განსახილველად რეგისტრირებული იქნა რამოდენიმე კანონპროექტი ლობისტური საქმიანობის რეგულირების თაობაზე. უკრაინის იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 15 იანვრის 36-ე ბრძანებით შექმნილი იქნა სამუშაო ჯგუფი უკრაინაში ლობირების შესახებ კანონის კონცეფციის შემუშავების მიზნით,რომელსაც უნდა უზრუნველეყო უკრაინაში ლობისტთა ქმედებების რეგულირება არსებული პოლიტიკური პროცესების მიმართ,და რომლის მიერაც მომზადებული იქნა კიდეც ლობირების შესახებ კანონის კონცეფცია.ლობისტური საქმიანობის რეგულირების შესახებ არაერთი კანონპროექტი იქნა წარდგენილი ასევე რუსეთის ფედერაციისა და ყაზახეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.საქართველომ კანონი ლობირების შესახებ 1998 წელს მიიღო“.[18].

ვფიქრობ, საინტერესოა განვიხილოთ როგორ ხდება ლობისტური საქმიანობის რეგულირება ევროკავშირის სტრუქტურებში. ევროპის კავშირში ლობისტური საქმიანობის განვითარებას თავისი სპეციფიკური საფუძველი გააჩნია. როგორც პოლონელი მკვლევარი კურჩევსკაია შენიშნავს „ევროპულ კავშირში, ისევე როგორც ევროკავშირის ცალკეულ წევრ-ქვეყნებში, ლობიზმის განვითარება დეტერმინირებულია პოლიტიკური ხასიათის რიგი ფაქტორებით. ლობიზმის განვითარების მასტიმულირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროპული ინტეგრაციის გაღრმავების პროცესი, რომელიც ნაწილობრივ ითვალისწინებს ევროკავშირის ორგანოებისათვის. ამ პროცესმა უზრუნველყო ლობირების პროცესის სამამულო დონიდან ევროპულ დონეზე

გადატანა და დღეისათვის ბრიუსელი წარმოადგენს „ევროპული ლობირების ცენტრს“. ევროკავშირის მიერ ნათქვამია:“ბრიუსელისა და ევროპის კავშირის კომპლექსის უპრეცედენტო გაფართოების ფონზე განვითარდა ლობისტური საქმიანობაც, რაც საჭიროებს მის რეგულირებასა და გამჭვირვალობას. ლობირება არის ნაცნობი, მივესალმებით რეალობას დასავლურ პოლიტიკაში და რომ პოლიტოლოგთა უმრავლესობა და პოლიტიკოსები აღიარებენ,რომ საზოგადოებას და კერძო ინტერესებს აქვს ლეგიტიმური მნიშვნელობა,გარკვეული როლი ითამაშოს პოლიტიკურ პროცესებში. ეს ყველაზე მეტად გავრცელებულია ევროპულ საზოგადოებაში,სადაც 15,000 კომისიაა და ევროპის საპარლამენტო თანამდებობის პირები სისტემატიურად 20,000-მდე ლობისტს ხვდებიან.აქედან გამომდინარე გასაკვირი არ არის,რომ საჭიროა შეიქმნას რეგულირების მექანიზმები,რომლებიც იქნებიან განმსაზღვრელი პოლიტიკურ პროცესებში ლობიზმის ადგილსა და როლზე“.

მოკლედ როგორც ავღნიშნეთ, ლობიზმმა განვითარების საკმაოდ რთული გზა განვლო და მიიღო სამართლებრივად იურიდიული სახე, რასაც განაპირობებს ზემოხსენებული სამართლებრივი კანონები. სწორედ ლობიზმის რთული ხასიათი და მისი აუცილებლობა პოლიტიკურ პროცესებში არსებობისა,განაპირობებს ისეთი სამართლებრივი კანონების შემუშავებას,რომელიც უზრუნველყოფს ლობიზმის ცივილიზებული ფორმების გამოვლინება

2.3 ლობიზმის რეგულირების სამართელბრივი საფუძვლები

ხშირად ისმის კითხვა მკაცრად რეგულირდებდეს უნდა თუ არა ლობისტი სამართლებრივად ?!

_ ჩვენ რეალობაში ბჭობა მიდის იმის შესახებ თუ რომელ ხელისუფლებას შეუძლია ლობისტების და ლობისტური საქმიანობის რეგულირება. ამ საკითხთან დაკავშირებით ლობისტების კრიტიკოსები ამტკიცებენ რომ, აუცილებელია წესები და რეგულაციები დემოკრატიული პროცესის შენარჩუნებისა და მთავრობის ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად. ხშირად ადამიანები ცინიკური ხდებიან პოლიტიკოსებისა და მთავრობის შესახებ , მხოლოდ იმიტომ რომ ისინი აღიქვამენ თითქოსდა მხოლოდ ლობისტებს აქვთ ძალაუფლების დარბაზები. ლობისტები მიიჩნევენ, რომ მათი საქმიანობა დაცულია. ლობისტები და მათი მიმდევრები, თვლიან რომ ლობირების შესახებ მომზადებულმა რეგულაციებმა შეიძლება დემოკრატიული პროცესი შეაფერხოს.

ლობისტების მკაცრი და სამართლებრივი რეგულირების მხარდამჭერები ამტკიცებენ, რომ რეგულირება მნიშვნელოვანია სპეციალური ინტერესების თავიდან ასაცილებლად, რათა უზრუნველყონ დეპუტატებისა და მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან ეთიკური ნორმების დაცვა. ისინი ფიქრობენ რომ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი სკანდალები უკავშირდება სწორედ ფედერალურ და სახელმწიფო დონეზე ლობირებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოითხოვენ ისინი ლობირების მკაცრ სამართლებრივ რეგულირებას. ზოგადად კრიტიკოსები, ამ საკითხის ღრმად მცოდნე პიროვნებები აღნიშნავენ, რომ სასამათლობი მხარს უჭერენ ლობირების საქმიანობის გონივრულ რეგულირებას. ასევე კრიტიკოსების თქმით მნიშვნელოვანია, რომ ლობისტის საქმიანობა იყოს რესტრში ოფიციალურად რეგისტრირებული, რადგან ის არ იყოს კონფიდენციალური საზოგადოებისათვის.

თავი III. ლობიზმი საქართველოში და საზოგადოებრივ - პოლიტიკური პროცესების მართვა.

3.1 საქართველო და ქართული ლობიზმი

როგორც ცნობილია, ლობიზმი ინსტიტუციურად საქართველოში მე-20 საუკუნის მიწურულს დამკვიდრდა, როდესაც 1998 წელს ქვეყანაში მიღებული იქნა ლობისტური საქმიანობის მარეგულირებელი სპეციალური აქტი- კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“. აღნიშნული კანონმდებლობა ერთ-ერთი სისტემატიზირებული აქტია ლობიზმის რეგულირების თაობაზე ყოფილ პოსტ-საბჭოთა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლებრივ სისტემაში. აღნიშნული კანონმდებლობით გამოიკვეთა ლობისტური საქმიანობის საკანონმდებლო დეფინიცია და ლობისტური საქმიანობის განხორციელების პირობები. კერძოდ, ლობისტური საქმიანობა და მოღვაწეობა გულისხმობს საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოზე ლობისტად რეგისტრირებული პირის ისეთ ზეგავლენას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული, ხოლო საკანონდებლო ცვლილება გულისხმობს ჩვეულებრივ ნორმატიული აქტის მიღებას ან ამ ნორმატიული აქტის პროექტის შეცვლას ან უარეს შემთხვევაში უარყოფას.

აღსანიშნავია, რომ მიოცემულმა კანონმა გაითვალისწინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და გარკვეული ევროპის ცალკეული ქვეყნების გამოცდილება და პიროვნების ლობისტად რეგისტრაციას მიანიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა მის მიერ ლობისტური საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებისათვის. სწორედ სმართლებრივი რეგისტრაციის შემდეგ წარმოეშობა პირს ლობისტის სამართლებრივი მდგომარეობა და

საინტერესოა, რომ ამის შემდეგ ენიჭება გარკვეული დამატებითი უფლებები. სამართლებრივი კანონი დეტალურად არეგულირებს ლობისტის რეგისტრაციის წესსა და პირობებს, მომქმედებას, განსაზღვრავს იმ სუბიექტთა წრეს, რომელთაც არა აქვთ ლობისტად რეგისტრაციის უფლება, რეგისტრაციისათვის წარსადგენი მონაცემების ჩამონათვალს და იმ ორგანოს ან თანამდებობის პირს, ვისაც უნდა წარედგინოს აღნიშნული.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს კანონი ლობისტური საქმიანობის შესახებ არის საუკეთესო საშუალება და წყარო ჩვენ ლობისტური საქმიანობის რეგულიორებისა. სწორედ ამ სამართლებირვ კრებულში - კანონშია ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრინციპები თუ ნორმები და წესები, რომლის მიხედვითაც უნდა იქნეს გაკონტროლებული ლობიზმის მნიშვნელობა, დამოკიდებულება საკანონმდებლო, აღმასრულებელ თუ სასამართლო სტრუქტურებში.. ამავე კანონში ნათქვამია, რომ „ლობისტს უფლება აქვს დაესწროს დახურულ სხდომას, მონაწილეობა მიიღოს სხვდასხვა საკითხების განხილვაში“[10].

დღესდღეობით საქართველოს პოლიტიკურ ბაზარზე საკმაოდ დიდ როლს ასრულებენ სხვადასხვა ლობისტური ჯგუფები, კერძო პიროვნებები და კომპანიები, რომლებიც ლობირებას უწევენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებსა და ინტერეს-ჯგუფებს. ,,ლობირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ამბიციური და განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომელთაც შედარებით გამოუცდელი დიპლომატიური კორპუსი ჰყავთ. ლობისტური კამპანიების გააქტიურება განსაკუთრებით აღინიშნება წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ესა თუ ის პარტიები მიმართავენ სხვადასხვა ლობისტურ კომპანიებს, რათა მოიპოვონ გამარჯვება არჩევნებში. უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური ძალები უცხოურ - ძრითდად ამერიკულ და ევროპულ ლობისტურ კომპანიებს მიმართავენ, ხოლო ადგილობრივ ქართულ ბაზარზე არსებული – ჯერ კიდევ განვითარების პროცესში

მყოფი ლობისტურ კომპანიები დასაქმებულნი არიან კერძო სექტორის წარმომადგენლებისა და ბიზნეს კომპანიების ლობირებით“[15].

საქართველოში ლობისტური ორგანიზაციები ძირითადად ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარედანაა, ამიტომ წინასაარჩევნო პერიოდშიც პარტიები მემორანდომებს აფორმებენ ამერიკულ და ევროპულ ლობისტურ კომპანიებთან[2], რომლებთან თნამშრომლობაზეც წარმოუიდგენელი თანხები იხარჯება. გაფორმებული კონტრაქტების შინაარსიის მიხედვით, ლობისტური კომპანიების მომსახურება ალბათ უნდა მოიცავდეს მთავრობის და მისი სტრუქტურების დახმარებას (ასევე პარტიების) და კონსულტირებას იმ საგარეო მოვლენებთნ დაკავშირებით, რომლებიც საქართველოს ინტერესებზე ახდენენ ზეგავლენას: ,,სტრატეგიების და პოლიტიკური ინიციატივების ფორმულირებას ამ ინტერესების შესაბამისად. მაღალჩინოსნების ან საქართველოს მთავრობისთვის პერსონალური მხარდაჭერის აღმოჩენას საგარეო პოლიტიკის სფეროში მათი მოვალეობის შესრულებაში; საქართველოს მხარდაჭერას ევროკავშირის და ნატოს მისწრაფებაში, მედიასთან და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში ჩართულ პირებთან ურთიერთობებში“ [5. გვ,. 360].

,,საქართველოს როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია ამერიკის შეერთებული შტატები. “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) დიდი ხნის მანძილზე აკვირდება აშშ-ში საქართველოს ლობისტურ საქმიანობას, საიდანაც ვიგებთ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას. IDFI 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს მთავრობას გაუგზავნა წერილი, რომლითაც ის ითხოვდა 2008-2013 წლებში ლობისტურ კომპანიებთან საქართველოს მთავრობის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ასლებს, ინსტიტუტმა პასუხად მიიღო მხოლოდ 2006 წელს გაფორმებული ორი ხელშეკრულება,რომლებიც განსაიდუმლოვდა საქართველოს

[2] IDFI - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

მთავრობის მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს“[8.გვ5].უნდა აღინიშნოს ისიც რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ ინფორმაციაზე წვდომის პრაქტიკა საქართველოსა და აშშ-ში კარდინალურად განსხვავებულია.თუკი საქართველოში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტიდან ლობისტურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში, განსაიდუმლოების შემდეგ ხდება საჯაროდ ხელმისაწვდომი, აშშ-ში 1938 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით (The Foreign Agents Registration Act) ყველა მონაცემი რაც უკავშირდება უცხო ქვეყნებიდან ამერიკაში მოქმედი ლობისტურ კომპანიებთან ურთიერთობის საკითხებს უნდა იყოს ხელმისაწვდომი და საჯარო. არსებული ღია წყაროების საფუძველზე IDFI-ის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი საქართველოს ლობისტური საქმიანობა აშშ-ში 2008 -2015 წლებში. თვალსაჩინოებისთვის აქვე წარმოგიდგენთ IDFI-ის სრულ კვლევას.“ [19, გვ. 345]

3.2 საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ (მოკლე მიმოხილვა)

როგორც, უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ლობისტური საქმიანობის რეგულირების მთავარ სამართლებრივ ნორმატიულ აქტს „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს. სწორედ ამ კანონით განისაზღვრა და მოქმედებს საქართველოში ლობისტური საქმიანობის საკანონმდებლო დეფინიცია და ამგვარი ლობისტური საქმიანობის განხორციელების პირობები. კერძოდ, **„ლობისტური საქმიანობის შესახებ„ საქართველოს კანონის მიხედვით ლობისტური საქმიანობა გულისხმობს „საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების მიზნით წარმომადგენლობით ან აღმასრულებელ ორგანოებზე ლობისტად რეგისტრირებული პირის ისეთ ზემოქმედებას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით**“[1, გვ. 34].

სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, ლობისტის მიერ ლობისტური საქმიანობს განხორციელების საფუძველი და სავალდებულა დავალება, რომელიც ფორმდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით (კანონთა კრებულების) დადგენილი წესით. მოცემული დავალება შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ერთი პროექტის შეცვლას ან უარყოფას. აღნიშნულ დავალებაში მარწმუნებლად შეიძლება წარმოდგენილი იყოს საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირი (სახაზინო საწარმოსა და სახაზინო დაწესებულების გარდა) ან საქართველოს ქმედუნაიან მოქალაქეთა არანაკლებ ორმოცდაათ კაციანი ჯგუფი (მუხლი 7).

„ლობისტური საქმიანობის შესახებ„ საქართველოს კანონში ვრცლადაა საუბარი ლობისტის უფლებებსა და მისი საქმინობის სამართლებრივ გარანტიებზე კერძოდ, კანონის მიხედვით ლობისტს უფლება აქვს : შევიდეს და გადაადგილდეს შესაბამისი წარმომადგენლობითი ან აღმასრულებელი ორგანოს ადმინისტრაციულ შენობაში. მონაწილეობა მიიღოს ნორმატიული აქტების პროექტების განხილვაში. დაესწროს წარმომადგენლობითი ორგანოს სტრუქტურების მიერ მოწყობილ ნორმატიული აქტების პროეტების ია განხილვის ყველა ატდიას. მიიღოს რეგლამენტირებული სიტყვის უფლება წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი სტრუქტურისაგან მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია . შეხვდეს წარმომადგენლობითო ორგანოს წევრებს და ა.შ.“ [10, გვ. 12].

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით , უზრუნველყოფილია ლობისტის საქმიანობის საზოგადოებისთვის საჯაროობა.აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის მიხედვით , ლობისტური საქმიანობა საჯაროა და ნებისმიერ მოქალქეს უფლება აქვს გაეცნოს ხელისუფლების ორგანოში ლობისტის მიერ წარდგენილ საბუტებსა და ანგარიშებს, გადაიღოს მათი ასლები. ასევე ლობისტი უფლებამოსილია განახორციელოს ლობისტური საქმიანობა როგორც დამოუკიდებლად, ისე კანონით დადგენილი წესით შექმნილი ლობისტთა სხვადასხვა გაერთიანებების მეშვეობით“ [10, გვ. 12].

„ლობისტური საქმიანობის შესახებ„ საქარტველოს კანონი შემიღებული იქნა ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს (1998 . 30. 09) ამ დროის შემდეგ აღნისნულ კანონში ცვლილება შევიდა მხოლოდ ერთხელ 2013 წლის 20 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს. რაც შეეხება კანონში შესულ ცვლილებებს განხორციელდა შემდეგი მაგალითად როგორიცაა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი““ [10, გვ. 16]. , კერძოდ:

„საქართველოს პარლამენტის აპარატი, საკრებულოს აპარატი ,გამგეობა (მერია), საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს მთავრობის კანცელარია ან აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება ვალდებულია პირის ლობისტად რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა უზრუნველყოს იგი ამ მუხის პირველი პუნკტიტ გათვალისწინებული უფლების დამადსტურებელი მოწმობით““ [10, გვ. 12].

კანონში შეტანილ ცვლილებამდე მე-9 მუხლის მე-2 ქვეპუნკტი გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

„ საქართველოს პარლამენტის აპარატი, სახელმწიფო კანცელარია ან სხვა სამთავრობო დაწესებულება , ხოლო რაიონებსა და ქალაქებში _ საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია პირის ლობისტად რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების დამადასტურებელი მოწმობით“[10, გვ. 16].

„ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის რამოდენიმე მუხლში შევიდა ასევე ცვლილებები, მაგრამ ვფიქრობ რომ „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ არის სრულყოფილი, კერძოდ არ არის დაზუსტებული ბევრი საკითხი. გაცნობის მომენტიდან შეიგრძნობა კანონის ბუნდოვნობა და ჩნდება კითხვები, რომელზე პასუხიც ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება“ [10, გვ. 12] , მაგალითად : ,, ა) აღნიშნულ კანონში მე 6 მუხლის 1-ლი

პუნქტის ა ქვეპუნკტში წერია, რომ პირს ლობისტად რეგისტრაციაზე უარი ეთქმება თუ „მისი სამსახურეობრივი მდგომარეობა შეუთავსებელია ლობისტური საქმიანობის განხორციელებასთან“ თუმცა მიუხედავად ამისა, არ არის დაკონკრეტებული კანონის არცერთ მუხლში თუ კერძოდ რომელი სამსახურეობრივი მდგომარეობა შეიძლება გახდეს ლობისტად რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზი. ბ) ასევე კანონში არ არის მითი ლობისტის სამართლებრივი მდგოამრეობის ჩამორთმევა ან შეწყვეტა მხოლოდ გარკვეული დროით ხდება თუ სამუდამოდ. სავარაუდოდ კანონი ითვალისწინებს სამუდამოდ ჩამორთმევას და კარგი იქნებოდა თუ ცვლილება შევიდოდა აღნიშნულ პუნკტში, რადგანაცა მაგალითად მხოლოდ დავალების ვადის გასვლის ან შეწყვეტის გამო ლობისტს სამუდამოდ არუნდა უწევდეს საქმიანობასთან დამშვიდობება. გ) ასევე კანონში არ არის განსზღვრული ლობისტის ონლაინ - რეჟიმში რეგისტრააციის საკითხი. დ) ლობისტი, როგორც წესი რეგისტრაციის შემდეგ იღებს შესაბამის მოწმობას, მაგრამ კანონში ასევე არ არის დაკონკრეტებული თუ რა რეკვიზიტებს უნდა შეიცავდეს აღნიშნული მოწმობა და სხვა მრავალი“ [10, გვ. 16]. .

ჩემი თვალთახედვით კარგი იქნება თუ მსგავსი ცვლილებები შევა კანონში , რის შემდეგაც „ლობისტური საქმიანობის შესახებ „ საქართველოს კანონი იქნება უფრო მყარი და გასაგები.

3.3. ლობიზმის ცნობიერება საქართველოში.

მოგეხსენებათ, რომ 1990 -იანი წლების ბოლოს საქართველ.ოში საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ერთ - ერთ ამბავს, რომ ხელისუფლება აშშ-ში ერთ-ერთ კონგრესმენს წელიწადში 180 ათას დოლარს უხდიდა იმისთვის, რომ იგი საქართველოს ოფიციალური სამართლებირივი ლობი ყოფილიყო. მაშინ ქართველების გაღიზიანება იმ ფაქტა გამოიწვია, რომ ამას ხელისუფლება ჩუმად

აკეთებდა და ამის შესახებ ინფორმაცია შემთხვევით გაუღერდა. სხვა საკითხია, რამდენად შედეგიანი და წარმატებული იყო საქართველოს ლობის საქმიანობა ჩვენი ქვეყნისთვის ,მაგრამ ფაქტია, რომ ძალიან კანონიერად ხდებოდა. დასავლეთის ქვეყნებში ლობისტურ საქმიანობს კანონმდებლობა არეგულირებს და საკმაოდ წარმატებულ პრაქტიკად იქცა.

ლობისტური საქმიანობა მიმდინარეობს მართვის ყველა დონეზე, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საქმიანობაში. საინტერესო ფაქტი კი ის არის, რომ ლობისტური საქმიანობის შესახებ კანონი საქართველოშიც არსებობს, მაგრამ ამ კანონის შესახებ პარლამენტში ძალიან ცოტამ თუ იცის.

მოგეხსენებათ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ცნობილია ფაქტი, რომ ადამიანი გაცნობისთანავე გაძლევს სავიზიტო ბარათს, სადაც მის სხვა საქმიანობასა და მოღვაწეობასთან ერთად, აღნიშნულია ისიც, რომ არის ლობი. ეს დასავლეთის ქვეყნებში საკმაოდ კარგად აპრობირებული მეთოდია. ჩვენ ქვეყანაში კი კარგა ხანს ეგონათ რომ, ლობისტობა დანაშაულებრივი ქმედება იყო. მიზეზი ის გახლავთ, რომ ლობისტურ საქმიანობას პროტექციონიზმად აღიქვამდენ და მათან ბრძოლის ფორმები კი სისხლის სამართლის კოდექსით იყო განსაზღვრული. ამიტომაც ლობისტური საქმიანობა ითვლებოდა თითქმის არაგამჭვირვალე რეკომენდაციულ საქმიანობად. მაგრამ ლობი დასავლეთის ქვეყნებში ძალიან კარგად აპრობირებული მეთოდია და ამას არათუ კანონთან აქვს რაიმე საწინააღმდეგო, არამედ სწორედ კანონმდებლობით რეგულირდება, რასაც ჩვენ თემის მსვლელობისას არაერთხელ შევეხეთ.

,,დღესდღეისობით ალბათ, ლობისტური საქმიანობის ნაცვლად, მართლაც რომ ხელში ელიტური კორუფცია შეგვრჩა. საქმიანობა რატომ უნდა იყოს გაჭვირვალე, როდესაც არაგამჭვირვალე პირობებში უფრო მეტი მოგებაა და ამასთანავე საინტერესოა ის ფაქტი თუ რატომ ანიჭებენ საქართველოში უცხოურ ლობისტურ კომპანიებს უპირატესობას და რატომ არ ანიჭებენ საქართველოში

მოქმედ ლობისტურ კომპანიებს, თუმცა ვშიშობ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მეტად რთული იქნება [11, გვ. 12].

აქვე მინდა მოვიყვანო საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტის არჩილ გამზარდიას ინტერვიუ „გურია ნიუსთან“, რომელიც საუბრობს ლობისტური კომპანიების არსსა და მოვალეობებზე:

“კლასიკური განმარტებით, ლობიზმი, ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალისტური მონოპოლიების აგენტები, რომლებსაც ევალებათ კონგრესში მიაღებინონ ესა თუ ის კანონპროექტი ან ჩაფუშონ მისი მიღება. ის გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომლის მიზანია გარკვეული ჯგუფების ინტერესების შესაბამისად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა.შ.). ამ მიზნით დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, არსებობს სააგენტოების განვითარებული ქსელი, რომლებიც გამოხატავს მსხვილი კომპანიების, პროფკავშირებისა თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ–პოლიტიკური ორგანიზაციების ინტერესებს. ლობისტებად, როგორც წესი, აჰყავთ პროფესიონალი შუამდგომლები. ისინი მუშაობენ პოლიტიკისა და პოლიტიკური რეკომენდაციების სფეროში საკონსულტაციო ბიუროებსა და კომპანიებში. შესაბამისად, ლობიზმის მთავარი არსი გარკვეული ჯგუფების მხრიდან ამა თუ იმ პროცესში კონკრეტული შედეგის მიღწევაა. პროცესის აღწერილობა ხშირად დახურულია. ნახევრად იუმორით, ლობიზმს დღეს “ლეგალიზებულ კლანიზმსაც” უწოდებს ზოგიერთი”, _ ამბობს “გურია ნიუსთან” სპეციალისტი“ [18, გვ. 120]. .

მისივე თქმით, საქართველოში გაცილებით შესამჩნევია გარე ლობის შედეგი, ვიდრე საერთაშორისო სივრცეში ქართული ლობის შედეგები.

“საქართველოს მხრიდან ლობიზმის შედეგები შეგვიძლია აღმოვაჩინოთ აქტიურად “ნაციონალური მოძრაობის” მმართველობის პერიოდში. თუმცა, აქ, ვფიქრობ, ერთი სპეციფიურობა ახასიათებდა – საკითხი იდგა არა, ვთქვათ, საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაციის კუთხით, არამედ სახელმწიფო თანხები სავარაუდოდ უფრო იხარჯებოდა კონკრეტული სუბიექტებისა და პარტიის იმიჯმეიკინგის, ასევე გავლენის კუთხით. ამის შესახებ მსჯელობაც ბევრი იყო, რამდენადაც, პოლიტიკური პარტიის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ლობიზმის შედეგები თავად პერსონალიებს უფრო დარჩათ, ვიდრე ქვეყანას”, _ ამბობს გამზარდია და დასძენს, რომ ლობისტური კომპანიებით სარგებლობას ყოველთვის დადებითი შედეგები არ მოჰყვება.“[18, გვ. 122].

სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ხშირად ლობირების პროცესში ფსევდორეალობას ვიღებთ, რაც ჩვენს გადაწყვეტილებებს მართვადს ხდის.

“ბოლო წლების განმავლობაში შესაძლოა ლობის შედეგი იყო სხვადასხვა მაჩვენებლით საქართველოსათვის ინდექსების მინიჭება: უსაფრთხოების მხრივ, ეკონომიკური ასპექტით, ბიზნესის კეთების მხრივ და ა.შ. ანუ მაჩვენებლები, რომელიც შინაარსობრივად საიმიჯოა, მაგრამ ქვეყანას თუ მის მთავრობას შესაბამის გარემო პირობებს უქმნის თვითრეალიზაციისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ კუთხით ლობისტური ჯგუფების გარეშე ყოფნა კიდეც დაეტყო საქართველოს, რამდენადაც მრავალი მაჩვენებლით ოფიციალურ მონაცემებში საქართველოს გაუარესებული შედეგები დაეტყო. ამიტომ, სრულიად ლოგიკურია, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ მეტად მოიწადინა ამ პროცესების ისევ მართვა, რადგანაც ლობიზმის შემცირებას “ქართული ოცნების” იმიჯის მკვეთრი ვარდნა შეიძლება მოჰყვეს როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ.“[18, გვ. 123].

,,ლობიზმი, მართალია, შეიძლება ეფექტურიც იყოს ზოგიერთი ჯგუფის ინტერესის დონეზე, მაგრამ გარკვეულწილად მე ის საშიშ მოვლენადაც მიმაჩნია,

რადგან არსებობს საშიშროება, მთელ ამ ხელოვნურსა და მართულ პროცესში ერთი მხრივ, რეალობის ნაცვლად ფსევდორეალობა მივიღოთ, რომელიც წარმოსახვას უფრო შექმნის ჩვენს ცნობიერებაში, ვიდრე ადეკვატურ წარმოდგენებს, შესაბამისად ჩვენი შეხედულებები თუ გადაწყვეტილებები მართვადი უფრო გახდება, ვიდრე თვითრეგულირებადი; მეორე მხრივ, კი ძალიან რთული ხდება გაიმიჯნოს პროცესის რეალური მმართველი და დასახელებული წყარო. ეს პროცესები, სავარაუდოდ, უფრო მომავალ პერსპექტებში შექმნის კრიზისს მთელი მსოფლიოს მასშტაბით"[18, გვ. 124]. _ უთხრა "გურია ნიუსს" გამზარდიამ.

როგორც სპეციალისტი აღნიშნავს, საფრთხე იკვეთება, თუნდაც შემდეგ მაგალითში – ,,როდესაც მრავალეროვან სახელმწიფოებში საზოგადოებრივ ჯგუფებს ლობირების ინსტიტუტის დახმარებით შეუძლიათ დამოუკიდებლად მიაქცევინონ ყურადღება თავიანთი პრობლემებისათვის, გავლენა მოახდინონ მათი საკანონმდებლო მოწესრიგების პროცესზე, ამ დროს კი, გამომდინარე იქიდან, რომ ლობისტური მომსახურება საკმაოდ ძვირი ჯდება, მათ უკან პირადი ინტერესების მქონე ფინანსურად გამართული ჯგუფები იდგნენ"[16, გვ. 10]. .

"ლობიზმის წარმოების კუთხით, მრავალეროვან სახელმწიფოებში ლობირების ობიექტი ხელისუფლებით სტრუქტურებში არის სხვადასხვა სახის ეროვნული ინტერესები. ქართულ რეალობაში ჩვენ ამ ლობირების პროცესს ვხვდებით თითქმის ყველა ნაბიჯზე, ამ მხრივ, საქართველო ძალიან დაუცველი და მოუქნელი აღმოჩნდა, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერების კრიზისმა კი მეტი გასაქანი მისცა ნებისმიერი ჯგუფს, მოახდინოს საკუთარი ინტერესების რეალიზაცია საქართველოში. ითვლება, რომ ლობიზმი საშუალებას აძლევს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრიობის იმ ჯგუფებმა, რომლებიც ასე თუ ისე მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობას. საზოგადოებრივ ჯგუფებს ლობირების ინსტიტუტის დახმარებით

შეუძლიათ დამოუკიდებლად მიაქცევინონ ყურადღება თავიანთი პრობლემებისათვის, გავლენა მოახდინონ მათი საკანონმდებლო მოწესრიგების პროცესზე. თუმცა, აქაც მაღალი დონის რისკები არსებობს, რამდენადაც ლობიზმი ძვირი ჯდება, ის მოდიოდეს არა საზოგადოებრივი ჯგუფების ინტერესების მწარმოებლად, არამედ, ოლიგარქიულ ინტერესებსა და ფინანსურად გამართული ჯგუფების ინტერესების რეალიზატორად", _ განმარტავს "გურია ნიუსთან" საუბრისას გამზარდია. [1, გვ. 23].

თავი IV. კვლევის ანგარიში / აღწერა.

4.1 კვლევა ლობიზმი , როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენა

ჩვენ მიერ ჩატარებული კველვა შეაფასებს საქართველოში ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ- პოლიტიკული მოვლენის ცნობიერებას. განსაზღვრავს თუ რამდენად არის საზოგადოება ინფორმირებული ზოგადად ლობიზმის არსებობის შესახებ , ასევე არის თუ არა საქართველოს მოსახლეობისთვის ცნობილი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ კანონის არსებობა. მათი მოსაზრებები ლობისტებისა და ლობისტური კომპანიების შესახებ და ა.შ

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ბევრი საინტერესო კვლევა მოიპოვება ლობიზმის შესახებ, საქართველოში ძალიან გაგიჭირდებათ მსგავსი კვლევის მოძიება. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა არ არის იდეალური რესპოდენტთა რაოდენობის მიხედვით, თუმც ასე თუ ის , საშუალება გვეძლევა დავინახოთ და შევაფასოთ, რამდენად აქტუალურია დღეისთვის საქართველოში ლობიზმი, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკურ მოვლენა.

გამოკითხვის პროცესისთვის გამოყენებული იქნა ელექტრონული ანკეტირება „ gmail forms” – ის სისტემა, როდესაც რესპოდენტს ელექტრონულად შეუძლია უპასუხოს კითხვარს , ავსებს დამოუკიდებლად და დასრულების შემდეგ ელექტრონულად, ავტომატურად ეგზავნება მკლევარს. აღნიშნული ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელია სტატისტიკურად ერთიანად დამუშავებული მონაცემების გადმოტანა. აქვე მინდა აღვნიშნო , რომ ელეტრონული გამოკითხვის არჩევას ჰქონდა სხვადასხვა მიზეზი :

- ელექტრონული გამოკითხვა დამეხმარა გამეგო სხვადასხვა ქალაქში , რეგიონში თუ სოფელში მყოფი ადამიანიების მოსაზრებები.
- აღნიშნული გამოკითხვა რესპოდენტებისატვის ძალიან მარტივი და კომფორტული გამოდგა , ვინაიდან სწრაფად და მარტივად აფიქსირებდენ თავიანთ მოსაზრებებს.

ელექტრონული გამოკითხვის გარდა, გამოყენებულ იქნა ასევე ანკეტირება. ანკეტა მოიცავდა სტრუქტურილებურ კითხვებზე პასუხს, რომელიც შემდგომ საბოლოო შეჯამების პროცესში იქნა გამოყენებული. ისევე, როგორც ელექტრონული გამოკითხვის დროს, ანკეტირების შემთხვევაშიც აბსოლიტურად იქნა დაცული რესპოდენტის ანონიმურობა. კითხვარი არ ითვალისწინებდა რესპოდენტის პირადი მონაცემის მითითებას.

ახლა, კი გადავიდეთ უშუალოდ კითხვარის აღწერაზე. კითხვების უმრავლესობა იყო დახურული ტიპის, რადგანაც მათზე პასუხის გაცემა უფრო მარტივია და გამომდინარეობს კვლევის მიზნებიდა. ასევე მათი ანალიზიც მარტივია. ამ ტიპის კიტხვებით მომეცა საშუალება რაოდენობრივი მონაცემები დამემუშავებინა სტატისტიკურად, გამოკითხვის ბოლოს მოხდა პასუხების შეჯამება და მატი პროცენტული მაჩვენებლით გამოსახვა. ხოლო რაც შეეხება ღია კითხვებს, მათ შემთხვევაში თითოეულ რესპოდენტს ქონდა შესძლებლობა კონკრეტულად თავისივე პასუხის დაფიქსირების.

კითხვარის დასაწყისში რესპოდენტი პასუხობდა მისი ასაკის, სქესის, განათლებისა და დასაქმების შესახებ დასმულ კითხვებს. ხოლო დანარჩენი კითხვები უშუალოდ საკვლევ თემატიკას ეთმობოდა. ამ ყველაფრის საფუძველზე კი მომზადდა კვლევის შედეგები, დასკვნა და ა.შ.

4.2 კვლევის შედეგები

მოცემულ თავში განხილული და შეჯერებულია შედეგები, რაც კვლევის პროცესში გამოვლინდა. კერძოდ კი, გაანალიზებულია, საქართველოში ლობიზმის, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური მოვლენის შესახებ ინფორმაციის ცნობიერება. პირველ რიგში, განვმარტავ კითხვის მნიშვნელობებს და შემდეგ , განვიხილავ პასუხებს.

თავდაპირველ კითხვებს ჰქონდა ზოგადი სახე. პირველი კითხვა ეხებოდა რესპოდენტის ასაკს. პასუხები კი ასე გადანაწილდა : 18- 25 წლამდე რესპოდენტთა ასაკის იყო 51,20 % , 25-45 წლამდე შეადგენდა 40,20 % , ხოლო 46 -დან ზემოთ 8,5 % . აქედან გამომდინარე, კვლევაში მონაწილე პირთა უმრავლესობა აღმოჩნდა 18 – 25 წლამდე ასაკის, ხოლო ყველაზე დაბალი პროცენტობით 46-დან ზემოთ. (იხ.დიაგრამა N5)



მეორე კითხვა ეხებოდა რესპოდენტთა სქესობრივ სტრუქტურას. შედეგი კი ასე გადანაწილდა. მდედრობითი სქესი 61% , მამრობითი სესი 39 % . (იხილეთ დიაგრმა N6.)



შემდეგი კითხვა განათლების საფეხურის გამოვლენას ისახავდა მიზნად, ვინაიდან მნიშვნელოვანია, განათლების რომელ საფეხურზე მყოფთ აქვთ უფრო მეტად ინფორმაცია ლობიზმის შესახებ. გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა 70,70% არის ბაკალვრის ხარისხის მქონე, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს მაგისტრის ხარისხის მქონე რესპოდენტებს 3, 70 % .

(იხ. დიაგრამა N7)



შემდეგი კითხვა მოიაზრებდა რესპოდენტთა სამუშაო ადგილს, ვინაიდან, საინტერესო იყო რომელ სექტორში დასაქმებულ რესპოდენტს აქვთ ინფორმაცია ლობიზმის არსებობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა თანაბარი რაოდენობა დასამებული, კერძოდ, საჯარო სტრუქტურებში 35,40 %. ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლი აქვს რესპოდენტებს რომლებიც არიან სტუდენტები 18, 30 %. (იხ.დიაგრამა N8)



ზემოთ აღნიშნული კითხვების შემდეგ კვლევა მოიცავდა უშუალოდ ლობიზმთან დაკავშირებულ თემატიკას. მეხუთე კითხვა დამეხმარა იმის გარკვევაში, თუ საქართველოს მოსახლეობის რა ნაწილისთვის იყო ცნობილი სიტყვა „ლობიზმი“, არსებული საკითხი კვლევამ პროცენტულად შემდეგნაირად წარმოაჩინა. მოსახლეობის უმრავლესობას 45,10 % საერთოდ არ სმენია ლობიზმის შესახებ არანაირი ინფორმაცია, მხოლოდ 19,50 % აქვს ბევრი ინფორმაცია ლობიზმის შესახებ, დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ მოსახლეობის 34,10 პროცენს აქვს გაგებული ლობიზმის არსებობის შესახებ თუმცა, ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობენ ამ საკითხთან დაკავშირებით. მხოლოდ 1,2 % გამოხატა საკუთარი მოსაზრება შემდეგნაირად, რომ მათ სმენიათ ლობიზმის შესახებ, თუმცა დაზუსტებით რას ნიშნავს არ იციან. ამ კითხვიდან გამოიკვეთა, რომ საქართველოში უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია ლობიზმის არსებობის შესახებ , რაც მეტად სამწუხაროა. (იხ დიაგრამა N9)

დიაგრამა N9 ლობიზმის ცნობიერება



შემდეგი კითხვით შევეცადე გამეგო იმ ადამიანთა მოსაზრება, ვისაც აქვს ინფორმაცია ლობიზმის შესახებ, თუ რა არის მათი აზრით ლობიზმი. ასევე ამ კითხვაში მოიაზრებოდა იმ საზოგადოების აზრის დაფიქსირება ვინც არ იცის რა არის ლობიზმი , თუმცა მიუხედავად ამისა, მათ აქვთ საკუთარი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება იყოს ლობიზმი. ეს კითხვა დაიყო კატეგორიებად რომლებიც გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

- 1 (**კატეგორია**) - ლობიზმი წრმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობისა და ურთიერთთანამშრომლობის მოქნილ საშუალებას.
- 2 (**კატეგორია**) -ლობიზმი ეს არის კორუფციის ერთ-ერთი გავრცელებული სახე.
- 3 (**კატეგორია**) -ლობიზმი ე.წ პიარს უწევს მხოლოდ სახელმწიფო მოხელეებს
- 4 (**კატეგორია**) - ვინაიდან არა ვარ ამ საკითხზე ინფორმირებული, შესაბამისად არ გამაჩნია საკუთარი მოსაზრება

სულ ოთხი სავარაუდო კატეგორია , რომელიც ელექტრონული კვლევის დროს გამოვიყენე , პროცენტულად გამოიყურებოდა შემდეგნაირად :

1 (**კატეგორია**) – 42,2 %

2 (**კატეგორია**) – 7,2 %

3 (**კატეგორია**) – 8,4 %

4 (**კატეგორია**) – 39,8 %

(იხ.დიაგრამა N10)



ანკეტური გამოკითხვისას ზემოთ აღნიშნულ კითხვას თუ რა არის ლობიზმი 1.2 % გასცა პასუხი, რომ ყველა კატეგორია მოიაზრებდა ლობიზმს, ხოლო ასევე 1.2 % უპასუხა, რომ ლობიზმი ეს არის ამა თუ იმ ჯგუფის ინტერესების გატარებისა და დაცვის მექანიზმი. ძირითადად გულისხმობს სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებსა და საკანონმდებლო ორგანოებზე ზემოქმედებას ლობისტების მიერ.

კვლვის ამ პუნქტიდან გამომდინარე, საქართველოში საზოგადოების უმრავლესობა თვლის, რომ ლობიზმი წრმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობისა და ურთიერთთანამშრომლობის მოქნილ საშუალებას. ასევე 39, 8 % არ გააჩნია ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრება.

კითხვარის შემდეგი პუნკტი დამეხმარა გამეგო თუ რამდენად არის საზოგადოება დაინტერესებული ლობიზმთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიებით და რა სახის საინფორმაციო საშუალებებს იყენებენ ამისთვის. შედეგების შეჯამებით დავინახეთ, რომ უმეტესობას არ მოუპოვებია აქამდე მსგავსი

ინფორმაცია, თუმცა, დღეიდან ეცდებიან რომ გაიგონ ბევრი (46 %) , 18 % და 8 % გადანაწილდა გამოკითხულთა იმ კატეგორიაზე, რომლებიც ინფორმაციას ლობიზმის შესახებ ინტერნეტისა და ლიტერატურის მეშვეობით იძიებს, ხოლო 28% არ აქვს ინტერესი აღნიშნულ საკითხზე, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. (იხ . დიაგრამა N11)



კვლევის შემდეგი კითხვა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის, ვინაიდან საშუალება მოგვეცა დაგვედგინა - საზოგადოების აზრით არსებობს თუ არა საქართველოში ლობისტური კომპანიები. რესპოდენტთა სრულმა უმავლესობამ (62,7 %) განაცხადა, რომ სმენიათ მსგავს კომპანიებზე, თუმცა არ ფლობენ მათზე არანაირ ინფორმაციას, საქართველოში სულ რაღაც 9,6 პროცენტმა იცის მსგავსი კომპანიების არსებობა და მათი ფუნქცონირება, ხოლო

27,7 % -ს არ გააჩია აღნიშნულზე ინფორმაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ საქართველოში ნამდვილად არ არსებობს ლობიზმის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებაში, ძალიან დაბალ საფეხურზე დგას ლობისტური კომპანიების არსი და მნიშვნელობა.

(იხ.დიაგრამა N12)



გამოკითხვის შემდეგი კითხვა იყო ღია ტიპის, იმ შემთხვევაში თუ რესპოდენტს ექნებოდა ინფორმაცია საქართველოში არსებული ლობისტური კომპანიის შესახებ, ან თუნდაც შეეძლებოდა დასახელება საქართველოში მოქმედი ლობისტის, საშუალება მივეცით ჩამოეთვალათ თუ, რომელ კომპანიებს/ლობისტს იცნობდა. თუმცა წინამდებარე შედეგებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის საქართველოში მოქმედი ლობისტური

კომპანიები/ლობისტები. მხოლოდ რამდენიმე მათგანმა დაასახელა ლობისტურ კომანიად „გირჩი“, „იბოლია“, „გლობი“, „გეწაძე დაპატეიშვილი“ და სხვა. (იხ.დიაგრამა N13)



როგორც ,ვიცით, საქართველოში გვაქვს კანონი “ლობისტური საქმიანობის შესახებ“ . კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყოო დაგვედგინა თუ რამდენმა იცის ამ კანონის არსებობის შესახებ. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ, 47 % იცის კანონის არსებობის შესახებ და ამავდროულად ფლობენ საკმაოდ კარგად, ხოლო დარჩენილი 53 % არიცის კანონის არსებობის შესახებ და ზოგი მათგანი თვლის, რომ შეიძლება არსებობს, ზოგის აზრით კი არ არსებობს. (იხ. დიაგრამა 14)



კვლევის პროცესში ძალიან საინტერესო აღმოჩნდა შემდეგი კითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა თუ რამდენდ არიან ინფორმირებულნი მოსახლეობა საქართველოს პარლამენტში ლობისტურ საქმიანობასთან დაკავშირებით. შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა. 7,20 % არ აქვს აღნიშნულზე მოსაზრება, 16,90 % თვლის რომ პარლამენტში არ იციან საერთოდ ლობისტური საქმიანობის შესახებ არაფერი, 42,20 % თვლის რომ იციან მაგრამ აქტიურად ნამდვილად არ გამოიყენებენ , ხოლო 31, 30 % ფიქრობს, რომ მათ იციან აღნიშნული საქმიანობა და საკმაოდ აქტუირად გამოიყენებენ. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ანკეტური გამოკითხვისას რესპოდენტთა 2,4 % ფიქრობს , რომ დღევანდელ პარლამენტში თითქმის ვერავინ ვერ გააკეთებს ვერაფერს ლობისტების დახმარების გარეშე და სწორედ ისინი ეხმარებიან თითოეულ პარლამენტარს სიტყვის გამოსვლისას და სხვა საკითხების გადმოცემის დროს. (იხ.დიაგრამა N15)



მომდევნო კითხვით დავინტერესდით მნიშვნელოვანია თუ არა საეროდ ლობიზმის არსებობა საქართველოსთვის. გამოკითხულ რესპოდენტთა შეხედულებები ამ საკითხზე შემეგნაირად გადანაწილდა: უმრავლესობა 59 % თვლის , რომ ის მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს საზოგადოებისთვის , ასევე სახელმწიფოსთვისაც , 15 % თვლის რომ არ არის მნისვნელოვანი, 16% აზრით მნისვნელოვანია მოლოდ სახელმწიფოსთვის, ხოლო დარჩენილი 11 % არ გააჩნია აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრება. (იხ.დიაგრამა N16)



საინტერესო იყო ასევე რესპოდენტთა მოსაზრება იმის შესახებ რომ არსებობდეს უნდა თუ არა საქართველოში სპციალური სასწავლებლები ლობისტების მოსამზადებლად. გამოკითხულთა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 53 % ფიქრობს რომ უნდა არსებობდეს , 8% მოსაზრბით არ უნდა არსებობდეს , ხოლო დანარჩენ 53% არ აქვს მოსაზრება ამ საკითხზე. (იხ.დიაგრამა N17)



კვლევის დასარულს თითოეულ რესპოდენტს ღია კითხვის საშუალებით , შესაძლებლობა მივეცით დაეფიქსირებინათ საკუთრი ხედვა, თავი ვაგრძნობინეთ ლობისტად და მოვისმინეთ მათი რჩევები ქართველ პოლიტიკოსებთან მიმართებაში, პასუხები კი მეტად საინტერესო აღმოჩნდა და გავაკეთებთ ,რამოდენიმე მათგანის ციტირებას :

თქვენ , რომ ლობისტი იყოთ, რას ურჩევდით პოლიტიკოსებს?

1. პოლიტიკური განათლების მიღებას
2. უფრო მეტი ურთიერთობაა საჭირო საზოგადოებასთან
3. ლობისტური საქმიანობის ორგანიზებასა და გასაჯაროებას
4. უფრო მეტად იფიქრონ საზოგადოების კეთილდღეობაზე.
5. უფრო მეტად იმუშაონ ევროპულ ქვეყნებთან
6. მეტად მომგებიანი კანონპროექტები შეიმუშაონ.
7. ვურჩევდი რომ უფრო მეტი კომუნიკაცია ქონდეთ საზოგადოებასთან

8. არ გასცდნენ სამართებრივ ჩარჩოებს

9. კანონების მიღების დროს მეტი ყურადღება და ნაკლები ხარვეზი

10. მეტი მხარდაჭერა საზოგადოებრივ აზრს

11. იმუშაონ ხალხისთვის

12. იყვნენ ეთკურები და მეტყველება დახვეწონ

13. უფრო მეტად დაინტერესდნენ იმ აკტუალური თემებით, რაც დღესდღეისობით არსებობს ქართულ საზოგადოებაში. კანონპროექტების მომზადება სიგარეტის მოწევასა და ტკბილეულის გაძვირებასთან დაკავშირებით ნაკლებად მნიშვნელოვანია , ვიდრე ოჯახში ძალადობა და ბავშთა უფლებების უგულებელყოფა. პოლიტიკოსები მეტად უნდა დაინტერესდნენ აღნიშნულ თემებზე და უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს ან არსებული ორგანიზაციები/დაწესებულებების საქმიანობა უფრო ეფექტური გახდეს და განხორციელდეს შესაბამისი რეაგირება აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე , თუნდაც ბავშთა მათხოვრობაზე ქუჩაში.

14. მეტი განათლებული პოლიტიკოსი, მეტი აზროვნება და მეტი ცოდნა სამართლებრივ და საზოგადოებრივ საკითხებში, ურთიერთობის გაღრმავება პოლიტიკოსებსა და საზოგადოებას შორის

15. იყვნენ უფრო მეტად მოტივირებულები პრაქტიკულ საქმიანობაზე და ტყუილი დაპირებების ნაცვლად გააკეთონ საქმე , როცა მოვლენ მთავრობაში.

16. მე რომ ლობისტი ვიყო მეცოდინებოდა რა არის ხალხის მოთხოვნა , სწორედ ამის შემდეგ აქტიურად ვიმუშავებდი ამ მოთხოვნის მიწოდებაზე პოლიტიკოსებისათვის.

17. უკეთესად იფიქრონ ქვეყნისა და საზიგადოების კეთილდღებაზე

18. მეტად გაიზიარონ მოსახლეობის ინტერესები

19. სწორ და ჯანსაღ აზროვნებას...მეტი ყურადღება ერს....

20. გაითვალისწინონ საკუთარი ამომრჩევლების ინტერესები.

ამრიგად, საქართველოში გამოკითხულ რესპოდენტთა რეკომენდაციების მიხედვით გამოვლინდა ის ძირითადი და საჭირო პრონლემები, რომლებიც საყურადღებოა. გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა დღეისათვის აქცენტს აკეთებს მათი, როგორც საზოგადოების ინტერესების დაცვაზე, უფრო ნაკლები ყურადგება მახვილდება ქვეყნის საზღვრებს გარეთ ურთიერტობებზე. ასევე მათი მხრიდან ყურადღება მახვილდება კანონპროექტების სწორ შედგენაზე. ასე გამოიყურება იმ რესპოდენტთა აზრი, რომლებიც ლობისტობის შემთხვევაში ყურადღებას სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილებდნენ.. გამოკითხულთა დანარჩენ ოდენობას არ აქვს საკუთარი მოსაზრება ამ საკითხზე და თავისთავად რეკომენდაციებისა და რჩვებისგან თავი შეიკავეს.

დასკვნა

წიანმდებარე ნაშრომი „ ლობიზმი , როგორც საზოგადოებრივ - პოლიტიკური მოვლენა მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პირობები“ მიზნად ისახავდა , საქართველოში ლობიზმის ცნობიერების ამაღლებას. ჩვენ წინა თავებში მიმოვიხილეთ უმარავი საინტერესო მასალა, ლიტერატურული, პუბლიცისტური თუ სხვა მრავალი. მათ შორის ჩავატარეთ კვლევა მოცემულ საკითხზე. სალიტერატურო მასალისა და სხვადასხვა კვლევების შედეგად, (მათ შორის ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის) გამოიკვეთა ლობიზმის სამი ძირითადი ასპეკტი :

- ლობიზმი , როგორც სოციალური მოვლენა
- ლობირება , როგორც პოლიტიკური საქმიანობის სახე
- ლობი , როგორც დაინტერესებული პირების პოლიტიკური ორგანიზაცია.

სამეცნიერო ლიტერატურის განხილვისას შეგხვდა მისი სხვადსხვაგვარი განსაზღვრება, სწორედ ეს საკითხი ართულებს მის ზუსტს გაგებას.. დღემდე სხვადასხვა მკლევარი მის განსხვავებულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობს და ეს უშლის ხელს ტერმინის ერთიანი გაგების ჩამყალიბებას. თუმცა მიუხედავად ამისა ,

ფაქტია ის გარემოება რომ ლობიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული ხელისუფლებასთან.

ნაშრომის შედეგად დადგინდა, რომ ლობიზმი დღეისათვის ასრულებს თავისებური პოლიტიკური ინსტიტუტის როლს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაინტერესებული ჯგუფების უფრო სრულ მონაწილეობას სახელმწიფო მმართველობაში. ამიტომაც ლობიზმი ზოგჯერ გვევლინება , როგორც ერთგვარი შუამავალი სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ ლობირებას ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა საღვარგარეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ლობიზმი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ძალიან მყარად დგას. სწორედ ამერიკის შეერთებულ სტატებში იმდენად დიდი მნისვნელობა ენიჭება ლობიზმს, რომ ის ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს პოლიტიკურ ფიგურებზე. ამის ნათელი მაგალითია ლობისტური კომპანია „ AIPAC“-ი, რომელმაც ცხადყო ლობირების ძალა სახელმწიფოში. ამასთან დაკავშირებით , ნაშრომზე მუშაობის პერიოდში სხვადასხვა მასალაზე გაცნობის სედეგად დადგინდა რომ, ამერიკელი ლობისტების გადმოცემით , პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოსამსახურეები თვლიან , რომ ლობისტებს აქვთ საკითხის უფრო ღრმა ცოდნა ვიდრე მათ. გია გოგიბერიძის სადისერტაციო ნაშრომში ამოვიკითხე სენატორ ჯეიმს ა.მაკკლურის მოსაზრება ლობისტებზე, რომელიც ამობს შემდეგს:

„ პირადად მე მიმაჩნია , რომ ლობისტები თამაშობენ განსაკუთრებით დადებით როლს ჩვენს საზოგადოებაში. თუკი თქვენ გსურთ მიიღოთ ნამდვილი ინფორმაცია , თუ კი თქვენ გსურთ გაეცნოთ საკითხის ყველა სპექტრს , მიმართეთ ლობისტებს - მათ ვინც საკითხის მომხრეა და მათაც ვინც მოწინააღმდეგეა.თქვენ სწარაფად გაერკვევით პრობლემის არსში. ისინი წარმოგიდგენენ თქვენ საკითხის

თაობაზე ყველაზე წონიან არგუმენტებს - როგორც მომხრის , ისე მოწინააღმდეგის პოზიციიდან. მე მივიჩნევ , რომ ეს სისტემა მუშაობს წარმატებით.“ [6].

ამ მოწოდების შედეგად, ნათელია რამდენად მნისვნელოვნად აღიქვამენ ამერიკისს შეერთებულ შტატებში ლობირებირების პროცესს. ეს ყოველივე კი რა საკვირველია სხვადასხვა კანონითა და კანონქვემდებარე აქტებით რეგულირდება.

რაც შეეხება, საქართველოს რა საკვირველია ლობირების პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს. სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც გვაქვს კანონი „ ლობისტური საქმიანობის შესახებ „ რომელიც ლობირების მარეგულირებელი საშუალებაა ქვეყნის შიგნით , თუმცა მიუხედავად ამისა ცვენს მიერ ჩატარებულმა კველავა გვიცვენა , რომ საქართველოში ამერიკის შეერთებული სტატებისაგან განსხვავებით, ლობირების პროცესს დიდი მნისვნელობა არ ენიჭება . ასვე კვლევიდან გამოიკვეთა , რომ სახელმწიფო სტრუქტურებისა თუ უბრალოდ მოსახლების ძალიან დიდმა ნაწილმა არიცის ჯერ კიდევ მისი არსებობა ქვეყანაში. საქართველოს მოსახლეობის უდიდესმა არიცის ლობიზმის შესახებ კანონის არსებობის, მათ შორის დადგინდა რომ არც საქართველოს პარლამენტში.

თემიდან გამომდინარე გავიგეთ რომ იმ ქვეყნებში სადაც ლობიზმი ასე თუ ისე განვითარებულია, ხდება ამ საქმიანობის რეესტრში რეგისტრაცია. შედარებას თუ გავაკეთებთ დასკვნის სახით დავინახავთ, რომ მსგავსი რეგულურება საქართველოშიც არსებობს, თუმცა სხვა ქვეყნებთან შედარებით აქ ძალაინ მარტივია დაითვალო ქვეყანაში არსებული რეგისტრირებული ლობისტი. ალბათ, ეს იქედან გამომდინარეობს რომ ამ საკითხით დაინტერესება დღეისათვის არ ხდბა.

ასევე, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ კვლევის მსვლელობისას კითხვარის დასკვნით ნაწილში, ცვენს რესპოდენტებს საშუალება მივეცით თავი წარმოედგინათ, ლობისტად და ამით დავინახეთ, რომ ქვეყნის შიგნით საზოგადოების დამოკიდებულება პოლიტიკისადმი ძალიან რთულია.

რესპოდენტთა უმრავლესობას ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე , როგორიცა საზოგადოებასთან ურთიერთობის პრობლემა, კანონპროექტების მიღების სირთულეები და სხვა მრავალი. მათი აზრით ეს ის თემებია , რომლებზეც უნდა მუშაობდნენ საქართველოში მოქმედი ლობისტები. აქვე აღსაღნიშნია ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობიზმის გავრცელებისატვის პირობებს თვით მისი პოლიტიკური სისტემა ქმნის, რასაც საქართველოზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს სჭირდება ფართო მაშტაბიანი კვლევის ჩატარება, რათა უკეთ იქნეს შესწავლილი ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები თუ სიღტულეები ლობირების საკითხთან დაკავშირებით და შემდგომ უკვე აღნისნული პრობელემის მოგვარების გზების ძიება და მატი დანერგვა. სწორედ ლობირების საკითხზე მომუშავე ბევრი ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკითხის კომპლექსურ შესწავლასა და ლობირების პროცესში ერთმანეთთან დაკავშირებული მეთოდების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, თამამად შეგვიზლია ვთქვათ, რომ „ლობიზმი“, როოგრც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა“ ყველა დემოკრატიული ქვეყნის განუყოფელი ნაწილია , რომელსაც შემდგომში განვითარება და მაღალ საფეხურზე წამოწევა ჭირდება.

ბიბლიოგრაფია

1. გამზარდია ა. 2014 წელი; „ლობირების ამჟამინდელ პროცესში უფრო ფსევდორეალობას ვიღებთ, რაც ჩვენს გადაწყვეტილებებს მართვადს ხდის“; *WWW. wordpress.com;*https://archilgamzardia.wordpress.com/2014/01/18/%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%98%E1%83%9A-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A

0%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91/#more-471; 06.23.2018

2. გლობი 03.05.2016 წელი „რა არის ლობიზმი“;*http://globby.ge/ra-aris-lobizmi/ ; http://globby.ge ;* 22.05.2018;

3. გლობი 03.05.2016 წელი „ლობიზმის ინსტრუმენტები“;http://globby.ge/lobirebis-instrumentebi/ ; *http://globby.ge ;* 22.05.2018;

4. გოგიბერიძე გ. 2012 „ლობიზმი და მისი რეგულირების სამართლებრივი ასპექტები“ სადისერტაციო ნაშრომი; თბილისი ;

5. ევროპული იურიდიული სამსახური „რა არის ლობირება , მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები“; http://www.iuristi24.ge/?p=1727 ; http://www.iuristi24.ge ; 22.05.2018;

6. იაშვილი მ. „განხეთქილების მარში“ 8.11.2013 ; გაზეთი „WEEKEND” ;

7. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 07. 10.2015 წ „საქართველოდან აშშ-ს ლობისტური კომპანიებისთვის გადარიცხული თანხების ანალიზი (2008-2015 წწ.)“ https://idfi.ge/ge/lobbying-georgia-usa-2008-2015 ; https://idfi.ge/ge ; 23.05.2018;

8. „ლობისტური საქმიანობის შესახე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (2013 წლის 20 სექტემბერი N1253 – Iს); ქუთაისი; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

9. მაცაბერიძე მ. 2014 „ლობიზმი:თეორია და პრაკტიკა“ ნაწილი პირველი; თბილისი;

10. საქართველოს კანონი „ლობისტური საქმიანობის შესახებ“ (1998 წლის 30 სექტემბერი N1591 – Iს); თბილისი; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

11. ხაბაძე თ. 15.10.2010 წ „ელიტურ კორუფციად გადაქცეული ლობისტური საქმიანობა“ http://for.ge/view.php?for_id=1375&cat=1 ; http://for.ge ; 23.05.2018;

12. Americas Pro- Israel lobby, March 24-26 , Washington, D.C , https://www.aipac.org ;

13. Chari, R., Murphy, G., Hogan, J. “ Regulating Lobbyists: A Comparative Analysis of the USA, Canada, Germany and the European Union”. The Political Quarterly, Vol. 78, No. 3; December 18, 2006;

14. Constitution of the State of Georgia, 1877, Par. V. „Lobbying is declared to be a crime, and the General Assembly shall enforce this provision by suitable penalties.“; http://georgiainfo.galileo.usg.edu/topics/government/related_article/constitutions/georgia-constitution-of-1877-as-ratified-without-subsequent-amendments; http://georgiainfo.galileo.usg.edu;

15. Foregn agents registration act (FARA) of 1938 , department of justice,Washington; https://www.justice.gov/nsd-fara; https://www.justice.gov;

16. H.R.2564 - Lobbying Disclosure Act of 1995 104th Congress (1995-1996); https://www.congress.gov/bill/104th-congress/house-bill/2564; https://www.congress.gov; 24.05. 2018;

17. J.Largerlof , L. Frisell, “Lobbying, Inforamtion Transmission and Unequal Representation” Centre for Economic Policy Research, No. 4313, 2004, pp. 1-27.

18. N.F.Campos, F. giovannoni ” Lobbying, Coruption and political influence” ; September 2006;

19. Rules of procedures, 7th parliamentary term , July 2010, European parliament; http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//NONSGML+RULES-EP+20100705+0+DOC+PDF+V0//EN;

20. The Federal Regulation of Lobbying Act of 1946; https://en.wikipedia.org;

https://en.wikipedia.org/wiki/Federal_Regulation_of_Lobbying_Act_of_1946;

21. ThE free dictionary , Political lobbying "Lobbying" ; https://www.thefreedictionary.com; https://legal-dictionary.thefreedictionary.com/Political+lobbying; 27.05.2018;

22. The parliament of the Federal republic of germani; https://www.bundestag.de/parlament/aufgaben/rechtsgrundlagen/go_btg; https://www.bundestag.de